პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

10 ოქტომბერი ხუთშაბათი 1968

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 238 (14234)

ლენინური ვახტანგი

მომავლის მზვერავები

ჟუთაისი. (საკ. კორ.). ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის რაციონალიზატორებმა ფართოდ გაიხადეს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი შეჯიბრება.

განსაკუთრებით გამოიჩინა თავი რაციონალიზატორთა კომუნისტური შრომის ბრიგადამ, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი, გამმართველი ი. ხაზარაძე უძღვება. ბრიგადამ ერთიოთხად გადაამეტა მთელი წლისათვის ნაკისრ ვალდებულებას და 40 ათას მანეთზე მეტი დაზოგა.

ქარხნის რაციონალიზატორთა თოთხმეტმაგი ბრიგადამ, რომლებშიც 145 ნოვატორია გაერთიანებული, წელს 800-ზე მეტი რაციონალიზატორული წინადადება შეიტანა, რომელთა დანერგვით მთელი წლისათვის ნაკისრი 100 ათასი მანეთის ნაცვლად დღემდე უკვე დაიზოგა 104 ათასი მანეთი.

ავტომშენებელ რაციონალიზატორთა გადაწყვეტილებაა წლის ბოლომდე კიდევ დამატებით დაზოგონ და ხუთწლედის ეკონომიის ფონდში შეიტანონ 200 ათასი მანეთი.

წლიური გეგმა შეასრულეს

ბარდაბნის რაიონის სამგორის საჯიშე მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა სახელმწიფოს მიჰყიდა 236 ტონა ხორცი, ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 200 ტონისა, მეფრინველეობის ფაბრიკებსა და საკოლექტიურეობათაშორისო მეფრინველეობის ფერმებს მიეყიდა 1 მილიონ 338 ათასი ცალი საინკუბაციო სანაშენო კვერცხი ნაცვლად 1 მილიონისა და 212 ათასი ფრთა სანაშენო მოზარდი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 111 ათასი ფრთისა.

ეს აცნობეს „კომუნისტის“ redakciasa-ს. [illegible] მეფრინველეობის საბჭოთა, მეფრინველეობის [illegible] დირექტორმა დ. დასმიმაძემ, პარტორგანიზაციის მდივანმა [illegible], მუშათა კომიტეტის თავმჯდომარემ შ. გეგეშლაშვილმა.

მსიფლიოს ოცდაათ ქვეყანაში

თბილისის ელექტროშესადუღებელ მოწყობილობათა ქარხანამ ამ დღეებში ელექტროშესადუღებელი დანადგარები გაუგზავნა კუბის რესპუბლიკას, ავრეგატების დიდი პარტია მომზადებულია ვიეტნამელი მეგობრებისათვის.

თბილისის ქარხნის მარკიან მოწყობილობას ნახავთ ასუანის კაშხალის, ტრანს-ირანის გაზსადენის მშენებლობებზე, გვინეის, ინდოეთის, საფრანგეთის, იტალიის, იაპონიისა და სხვა ქვეყნების მრეწველობის სხვადასხვა საწარმოებში.

წელს საწარმომ გაგზავნა 200 ათას მანეთისაზე მეტი ღირებულების პროდუქცია. (საქდესი).

კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის მდგომარეობის და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1968 წლის 4 ოქტომბრის პლენუმის დადგენილება

მოისმინა და განიხილა რა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ვ. პ. მეჟვინაძის მოხსენება „კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის მდგომარეობის და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ, ასრულებენ რა სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებს, რესპუბლიკის პარტიულმა კომიტეტებმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა გააუმჯობესეს კომკავშირული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა, გააძლიერეს უურადღება ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის, ქალიშვილთა და ჭაბუკთა პოლიტიკური და შრომითი აქტივობის საკითხებისადმი.

პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ახალგაზრდობა შაღალნაყოფიერად შრომობს სამრეწველო საწარმოებში და მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ახალგაზრდა მუშები და კოლმეურნეები ლენინური კომკავშირის სახელოვან 50 წლისთავს ხვდებიან დიდი წარმატებებით ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში. ფართოდ გაჩაღდა კომკავშირელთა და ახალგაზრდობის სოციალისტური შეჯიბრება, რომლებიც ღირსეულ შეხვედრას უმზადებენ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

ამიერკავკასიაში უდიდესი ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე, ჯაბახეთის უამრავ მიწებზე, სოფლის კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობაზე, რესპუბლიკის ჩაის პლანტაციებსა და ვენახებში — უველგან კომკავშირელები ცხადყოფენ, რომ კომუნისტური პარტიის ერთგული თანამშრომენი და საიმედო რეზერვი არიან.

პარტიული ორგანიზაციების უურადღების გაძლიერების წყალობით მნიშვნელოვნად ამაღლდა კომკავშირის აქტივობა სამეცნიერო-კვლევითს დაწესებულებებში, შემოქმედებითს კავშირებში, უმაღლეს სასწავლებლებში, ტექნიკუმებსა და სკოლებში. ათიათასობით ქალიშვილი და ჭაბუკი წარმატებით ეუფლება მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, იმაღლებს პოლიტიკური ცოდნას პარტიული და კომკავშირული განათლების სისტემაში. პარტიული ორგანიზაციები უფრო მიზანსაცნაურად მუშაობენ იმისათვის, რომ ახალგაზრდა თაობას ჩამოუყალიბონ მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა, აღზარდონ იგი საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, პარტიისა და ხალხის რეგოლუციურ, შრომითს და საბრძოლო ტრადიციებზე. ამ მუშაობაში ფართოდ ახმარენ ძველ კომუნისტებს, კომკავშირის ვეტერანებს, სამოქალაქო და დიდი სამამულო ომების მონაწილეებს.

საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობით რესპუბლიკის კომკავშირმა სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, იდეურ-პოლიტიკურ მუშაობაში, კომუნისმისათვის საყოველთაო სახალხო ბრძოლაში მონაწილეობის მდიდარი გამოცდილება შეიძინა. სრულიად საკავშირო ალკკ ბეჭრი აღზრდილი დაწინაურებულია ხელმძღვანელ სამუშაოზე პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და სამეურნეო ორგანიზაციებში და წარმატებით ასრულებს თავის მოვალეობებს.

ამასთანავე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიაჩნია, რომ რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის დონე ჯერ კიდევ ვერ შეესაბამება გაზრდილ მოთხოვნებს.

ცალკეული პარტიული კომიტეტები და პირველადი პარტორგანიზაციები საკმაოდ ღრმად ვერ სწვდებიან კომკავშირულ ორგანიზაციათა საქმიანობის შინაარსს, არ უწევენ მათ ყოველდღიურ კონკრეტულ დახმარებას, ახალგაზრდობაში მუშაობას ეწევიან არადიფერენცირებულად, არ ითვალისწინებენ სხვადასხვა სოციალური და ასაკობრივი კატეგორიის ახალგაზრდობის ინტერესებსა და მოთხოვნილებებს. აღზრდის ფორმები და მეთოდები ყოველთვის როდი შეესაბამება მოზარდი თაობის გაზრდილ ზოგადი განათლების, პოლიტიკური და კულტურულ დონეს.

პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები ზოგჯერ გვერდს უვლიან შრომისადმი ახალგაზრდობის ერთი ნაწილის არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების ფაქტებს. სუსტი აღმზრდელობითი მუშაობის, მომთხოვნელობის შემცირების შედეგად მთელ რიგ სამრეწველო საწარმოებში, მშენებლობებზე, ზოგიერთ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში არის შრომისა და საწარმოო დისციპლინის დარღვევის შემთხვევები. ზოგან ფორმალურად ეკიდებიან ახალგაზრდობის ჩაბმას სოციალისტურ შეჯიბრებაში. ზოგჯერ გაუმართლებელ სიჩქარეს იჩენენ ცალკეული მუშაკებისათვის, ბრიგადებისათვის, უბნებისა და საამქროებისათვის კომუნისტური შრომის დამკვრელისა და კოლექტივის საპატიო წოდების მინიჭებაში, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ახალგაზრდობის აღზრდაზე, ზიანს აყენებს თვით შეჯიბრების იდეას.

ზოგიერთი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაცია, სამეურნეო ხელმძღვანელები ჯეროვნად არ ზრუნავენ იმისათვის, რომ ახალგაზრდობას შეუქმნან შრომის, სწავლისა და ყოფაცხოვრების ნორმალური პირობები, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში შეინარჩუნონ ახალგაზრდა მუშათა და სპეციალისტთა კადრები.

არსებითი ნაკლოვანებანია ახალგაზრდობასთან იდეურ-პოლიტიკური მუშაობაში. ამ ხშირად არ ითვალისწინებენ მთავარს — იმას, რომ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს ახსოვთ კლასობრივი მიდგომა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მოვლენისადმი. კომკავშირული პოლიტგანათლების სისტემის ბევრ წრეში და სემინარზე დაბალი მეცადინეობის იდეური დონე, ხშირად მეცადინეობა მოსაწყენია, არ იტაცებს მსმენელებს. კომკავშირული პოლიტგანათლების ქსელში ცოტაა გამოცდილი პროპაგანდისტი კომუნისტი. პარტიული ორგანიზაციები ჯეროვნად ვერ განუმარტავენ კომკავშირელებსა და ახალგაზრდებს პარტიისა და მთავრობის უველაზე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა, საშინაო და საერთაშორისო ცხოვრების მოვლენათა აზრს, ახალგაზრდობისათვის საინტერესო სხვა საკითხებს.

ზოგიერთი უმაღლესი და საშუალო სასწავლებლის პარტიულმა ორგანიზაციებმა და ადმინისტრაციამ ჯერაც ვერ მიაღწიეს იმას, რომ თვითეულ კურსდამთავრებულს ჩაუნერგოს საზოგადოების წინაშე მოქალაქეობრივი მოვალეობის მაღალი გრძნობა, იმის შეგნება, რომ უნდა იმუშაონ იქ, სადაც ამას მოითხოვს სახელმწიფოს ინტერესები. კომკავშირული ორგანიზაციები სათანადოდ დაინტერესებული არ არიან იმისათვის, რომ გააუმჯობესონ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, მომავალ სპეციალისტებს განუვითარონ საზოგადოებრივი აქტივობა ცალკეული პარტიული კომიტეტები და პირველადი პარტორგანიზაციები ნაკლები უურადღებით ეკიდებიან სასკოლო კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების მუშაობას, ჯეროვნად არ ზრუნავენ მოსწავლეთა შორის მათი ავტორიტეტის გაზრდისა და გავლენის გაფართოებისათვის. სათანადო უურადღება არ ექცევა ესთეტიკური და ზნეობრივი აღზრდის საკითხებს. რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში არის შემთხვევები, როცა ახალგაზრდები არღვევენ სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს და ამორალურად იქცევიან.

ახალგაზრდობასთან აღმზრდელობითს მუშაობაში პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები ჯეროვნად ვერ იყენებენ იდეური ზემოქმედების ისეთ მძლავრ საშუალებებს, როგორიც არის ლიტერატურა და ხელოვნება. ახალგაზრდული პრესა სუსტად უწევს პროპაგანდას ახალგაზრდობისათვის განკუთვნილ საუკეთესო ნაწარმოებებს, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები სათანადო გავლენას ვერ ახდენენ ახალგაზრდა მწერლებზე, მხატვრებზე, რეჟისორებზე, კომპოზიტორებზე, მსახიობებზე. ზოგიერთი მთავარი ამოცანა ჯერ ბოლომდე ვერ ამოხსნილა კომუნისტის სულისკვეთებით ახალგაზრდობის აღზრდის მიზნებს.

სერიოზულად უნდა გაუმჯობესდეს მუშაობა კომკავშირული კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისათვის. პარტიის დუშეთის, ბორჯომის, ბოგდანოვკის რაიკომები, ფოთის საქალაქო კომიტეტი და ზოგიერთი სხვა პარტიული კომიტეტი არ ახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს კომკავშირში პარტიული ბირთვის განმტკიცებისა და გაფართოებისათვის. პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების მდივნებს შორის სკკპ წევრები და წევრობის კანდიდატები მხოლოდ 18,4 პროცენტს შეადგენენ.

ახალქალაქის, ჭავის, თიანეთის, ქარელის, გაგრისა და ზოგიერთი სხვა რაიონის პარტიული ორგანიზაციები ნაკლებად ზრუნავენ, რომ გაზრდილ სკკპ რიგები კომკავშირელთა მიღების გზით.

პარტიის ცალკეული რაიკომები, საქალაქო კომიტეტები და პირველადი პარტორგანიზაციები პლენუმებზე, ბიუროს სხდომებსა და პარტიულ კრებებზე იშვიათად განიხილავენ კომკავშირულ ორგანიზაციათა მუშაობის საკითხებს, სათანადო დახმარებას არ უწევენ შინა კომკავშირული მუშაობის დონის ამაღლებაში. მთელ რიგ ორგანიზაციებში კომკავშირულ კრებებს იშვიათად იწვევენ, კრებები იმართება კომკავშირელთა დაბალი აქტივობის პირობებში, სრულიად საკავშირო ალკკ წევრთა მნიშვნელოვანი ნაწილი არ მონაწილეობს თავისი ორგანიზაციის ცხოვრებაში. რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციაში საკმაო რაოდენობით არ იღებენ მუშებსა და კოლმეურნეებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ადგენს:

1. დაევალოს პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს აღმოფხვრან ნაკლოვანებანი კომკავშირისადმი პარტიულ ხელმძღვანელობაში, უზრუნველყონ ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის გაუმჯობესების შესახებ სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულება.

2. ახალგაზრდებთან მუშაობაში რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა მთავარი ამოცანა უნდა იყოს კომკავშირის ბრძოლისუნარიანობის ყოველნაირად გაძლიერება, კომუნისტურ მშენებლობაში კომკავშირული ორგანიზაციათა ინიციატივისა და აქტივობის განვითარება, ქალიშვილებისა და ჭაბუკებისათვის მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის, კლასობრივი თვითშეგნების, მაღალი იდეურობის, ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი შეურიგებლობის ჩანერგვა, მათი აღზრდა კომუნისტური პარტიის საქმისადმი ერთგულების, ოქტომბრის მონაპოვართა დაცვისათვის მზადყოფნის სულისკვეთებით. ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებით პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები ვალდებული არიან განსაკუთრებული უურადღება მიაქციონ ლენინისმის იდეების პროპაგანდას, ახალგაზრდობის აღზრდას ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მაგალითით, პარტიისა და ხალხის რეგოლუციური, შრომითი და საბრძოლო ტრადიციებით.

3. უველა პარტიულმა კომიტეტმა გააძლიეროს უურადღება კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობისადმი, განუხრელად სრულყოს კომკავშირის ხელმძღვანელობის ფორმები და მეთოდები, რათა ისინი თავალისწინებდნენ სხვადასხვა კატეგორიის ახალგაზრდებს შორის — მუშებს, კოლმეურნეებს, სტუდენტებს, ინტელიგენციას, მოსწავლეებს შორის მუშაობის სპეციფიკას. მხარი დაუჭირონ კომკავშირული ორგანიზაციის სახარგებლო წამოწყებებს, განავითარონ მათი ინიციატივა და თვითმოქმედება, განამტკიცონ დისციპლინა და ორგანიზებულობა კომკავშირის რიგებში, მეტი იზრუნონ მისი რიგების ზრდისათვის, განსაკუთრებით ახალგაზრდა მუშების, კოლმეურნეებისა და სპეციალისტების ხარჯზე. გააუმჯობესონ პირველადი პარტორგანიზაციების ხელმძღვანელობა კომკავშირული ორგანიზაციებისადმი, აამაღლონ პარტიული ბიუროებისა და პარტჯგუფების პასუხისმგებლობა ახალგაზრდობის აღზრდისათვის.

4. პლენუმს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანად მიაჩნია ხელმძღვანელი კომკავშირული კადრების შერჩევისა და აღზრდის გაუმჯობესება, კომკავშირულ ორგანიზაციებში პარტიული ბირთვის განმტკიცება და გაფართოება, უველადღიური მუშაობა, პარტიაში უფრო აქტიური, მომზადებული კომკავშირელების შერჩევისათვის. პარტიულმა ორგანიზაციებმა ეფიდროდ უნდა ჩაბაან კომკავშირელები ადგილობრივი საბჭოების, კოლმეურნეობათა გამგეობების, პროფკავშირული, სპორტული და კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციების მუშაობაში.

საჭიროა დაეხმარონ კომკავშირულ კადრებს ხელმძღვანელობის ხელოვნების დაუფლებაში, ამასთან ამ მიზნისათვის ფართოდ გამოიყენონ თეორიული სემინარები, კონფერენციები, კურსები და სწავლების სხვა ფორმები. პარტიული მუშაკები მოვალენი არიან რეგულარულად აცნობდნენ კომკავშირულ აქტივს პარტიისა და მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

5. პარტიულმა კომიტეტებმა უნდა აამაღლონ კომკავშირელთა პოლიტიკური განათლების დონე. მეცადინეობის იდეური შინაარსი უფრო სრულად უნდა აკმაყოფილებდეს ქალიშვილებისა და ჭაბუკების მოთხოვნილებებს, გაზარდოს მათი ინტერესი მარქსიზმ-ლენინიზმის რეგოლუციური თეორიისადმი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების პრობლემებისადმი. კომკავშირული პოლიტგანათლების სისტემაში სამუშაოდ უნდა გაიგზავნონ საუკეთესო პარტიული პროპაგანდისტები.

6. დაევალოს პარტიის საოლქო კომიტეტებს, საქალაქო კომიტეტებს, რაიკომებს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს ყოველდღიური უურადღება დაუთმონ მოზარდი თაობის შრომითის აღზრდას. აამაღლონ მრეწველობის, ტრანსპორტის საწარმოთა, მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კომკავშირული ორგანიზაციების როლი სოციალისტური შეჯიბრებისა და კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის გაშლაში, აღმოფხვრან ამ საქმეში ფორმალიზმისა და შაბლონის ელემენტები. უურადღებით მოეკიდონ ახალგაზრდობის სასარგებლო წამოწყებებს, განახორციელონ მათი ფართოდ გავრცელების ღონისძიებანი. მეტი იზრუნონ ახალგაზრდობის პროფესიული მომზადებისათვის, ჩაუნერგონ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს ინტერესი ტექნიკისადმი, კვლევითი მუშაობისადმი, რაციონალიზაციისადმი.

პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა დაუცხრომლად უნდა იზრუნონ ახალგაზრდა მუშათა კადრების შენარჩუნებისათვის, დიდი მოთხოვნები წაუყენონ სამეურნეო ხელმძღვანელებს ახალგაზრდობის შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების მდგომარეობისათვის. პარტიულმა კომიტეტებმა მკაცრი პასუხისმგებლობა უნდა დააკისრონ საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს ახალგაზრდობის საჭიროებებისა და მოთხოვნილებებისადმი უურადღებო დამოკიდებულებისათვის.

7. რესპუბლიკის სოფლის პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან აამაღლონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კომკავშირული ორგანიზაციების როლი რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობის ამოცანათა გადაწყვეტაში, უზრუნველყონ კომკავშირელთა მიზანდასახული მუშაობა სოფლების კეთილმოწყობისათვის, სოფლის ახალგაზრდობის კულტურული დასვენების ორგანიზაციისათვის.

8. პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები ბეჯითად უნდა მუშაობდნენ იმისათვის, რომ ახალგაზრდა მუშები, კოლმეურნეები და მოსამსახურეები მიიზიდონ საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებში, ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, ჩაუნერგონ ინტერესი ცოდნის დაუფლებისადმი, მეცნიერულ-ტექნიკური შემოქმედებისადმი. უველა პირობა უნდა შეუქმნან მათ ნაყოფიერი სწავლისათვის, მოაწყონ ახალგაზრდათა მასობრივი მოძრაობა თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დაუფლებისათვის.

9. პარტიის საოლქო კომიტეტებმა, საქალაქო კომიტეტებმა, რაიკომებმა, საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ და განათლების სამინისტრომ დაუცხრომლად უნდა იზრუნონ უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში პედაგოგიური კადრების შემადგენლობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის

უნდა ავამაღლოთ სასწავლებელთა პარტიული, კომკავშირული ორგანიზაციებისა და პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის როლი და პასუხისმგებლობა ახალგაზრდობის სწავლებისა და აღზრდის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, ავამაღლოთ საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიური დისციპლინების სწავლების დონე, ლექციებში და სემინართა მეცადინეობაზე გაბედულად ვამხილოთ ბურჟუაზიული იდეოლოგიის ცრუ და მტრული არსი. უმაღლესმა სასწავლებლებმა და ტექნიკუმებმა უნდა შთაუნერგონ თავიანთ აღზრდილებს მაღალი პოლიტიკური და მორალური თვისებანი, პატრიოტიზმის გრძნობა, საზოგადოების წინაშე მოქალაქეობრივი მოვალეობის ღრმა შეგნება.

10. პარტიული კომიტეტები და პირველადი პარტორგანიზაციები, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი მოვალენი არიან გაუნურჩილად აუჭრობენს სასკოლო კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა, აამაღლონ მათი ავტორიტეტი და გააფართოონ გავლენა მოსწავლეებში, გააუმჯობესონ პიონერხელმძღვანელთა კადრების შერჩევა, განსაკუთრებული უურადღება დაუთმონ ადმზრდელობითს მუშაობას სკოლაში. სწავლისაგან თავისუფალ დროს.

11. ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლასთან დაკავშირებით რესპუბლიკის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით დგას ახალგაზრდობის თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენების ამოცანა. საჭიროა მეტი იზრუნონ დასვენების ორგანიზაციისათვის, უფრო აქტიურად ჩაებან ქალიშვილები და ჭაბუკები წრეებსა და კლუბებში მათი ინტერესების მიხედვით, სპორტულ სექციებში, განავითარონ ტურიზმი, გულმოდგინედ დანერგონ ყოფაცხოვრებაში ახალი ტრადიციები და წესები.

საქართველოს პროფსაბჭოს, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, კულტურის სამინისტროს, სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირს, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკურ კომიტეტს ევალებათ გააუმჯობესონ კულტურულ-მასობრივი, სამხედრო-პატრიოტული და ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა ახალგაზრდობაში. სტადიონების, სასპორტო დარბაზების და სასპორტო მოედნების, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების კლუბებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობა მოაწყონ ისე, რომ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს ჰქონდეთ სრული შესაძლებლობა კულტურულად გაატარონ დასვენება.

სამხედრო-პატრიოტული მუშაობა ისე უნდა მოაწყონ, რომ უკეთ მომზადდნენ ახალგაზრდობა საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტში სამსახურისათვის, აღზარდონ იგი მამაცი შეიარაღებული ძალებისადმი და მათი საბრძოლო ტრადიციებისადმი სიყვარულისა და ღრმა პატივისცემის სულისკვეთებით, კიდევ უფრო განამტკიცონ კავშირი ჯარის ნაწილებთან. რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციები სისტემატურად უნდა ახორციელებდნენ ღონისძიებებს არმიის კომკავშირელებთან ერთად.

12. პლენუმი პარტიული კომიტეტების, კულტურის სამინისტროს, კინემატოგრაფიის კომიტეტის, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტის, ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის, შემოქმედებითი კავშირების უურადღებას მიაპყრობს იმას, რომ საჭიროა უკეთ გამოიყენონ ლიტერატურა და ხელოვნება ახალგაზრდა თაობის აღზრდაში, მეტი იზრუნონ ახალგაზრდობისა და ბავშვთა ესთეტიკური აღზრდისათვის.

პარტიის საოლქო კომიტეტები, საქალაქო კომიტეტები და რაიკომები მუდამ უნდა ეხმარებოდნენ შემოქმედებითს კავშირებსა და კოლეტივებს, პირველადს პარტორგანიზაციებს მათი საქმიანობის გაუმჯობესებაში, ამაღლებდნენ მათს როლსა და პასუხისმგებლობას შემოქმედებითს ახალგაზრდობასთან მუშაობის მდგომარეობისათვის.

13. პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები მოვალენი არიან აამაღლონ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების პასუხისმგებლობა მოზარდი თაობის აღზრდისათვის, ათანხმებდნენ მათს საქმიანობას ამ მუშაობაში, უზრუნველყონ, რომ ალკკ კომიტეტები მუშაობდნენ ამ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან კონტაქტით.

14. პლენუმი ავალებს საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს ამ დადგენილების საფუძველზე შემუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ რესპუბლიკური კომკავშირული ორგანიზაციის საქმიანობის ახალ აღმავლობას, კომკავშირელთა შრომითი და პოლიტიკური აქტივობის შემდგომ ზრდას ლენინური კომკავშირის სახელოვანი 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრას.

15. გაზეთებისა და უურნალების რედაქციები, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტი მოვალენი არიან მეტი უურადღება დაუთმონ კომკავშირის ცხოვრების გაშუქებისა და მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის აქტუალურ საკითხებს.

16. პარტიული კომიტეტების პლენუმებზე, ბიუროების სხდომებსა და პირველადი პარტორგანიზაციების კრებებზე რეგულარულად უნდა განიხილონ კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის საჭირბოროტო საკითხები, ყოველდღიური საქმიანი დახმარება გაუწიონ მათ. საჭიროა გავაძლიეროთ პარტიის ყველა წევრის პასუხისმგებლობა კომკავშირში საქმის ვითარებისათვის.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების წევრები, პირველადი პარტორგანიზაციების მდივნები მოვალენი არიან უფრო ხშირად ხვდებოდნენ ახალგაზრდობას, სწავლობდნენ მის მოთხოვნილებებსა და განწყობილებას, თვალყურს ადევნებდნენ ქალიშვილებისა და ჭაბუკების ცხოვრებას, სწავლასა და ყოფას. ახალგაზრდობის აღზრდა საერთო-პარტიული, საერთო-სახელმწიფოებრივი საქმეა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი საზოგადოების განვითარებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ, გააძლიერებენ რა კომკავშირისადმი ხელმძღვანელობას, პარტიული ორგანიზაციები სულ უფრო გაუმჯობესებენ რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობას, რათა აღზარდონ იდეური ახალგაზრდა მებრძოლები, რომლებიც მზად იქნებიან ღირსეულად ატარონ დიდი ლენინის ძლევამოსილი დროშა კომუნიზმის ნათელი მწვერვალებისაკენ.

ზონალური თათბირი

ხილისა და ყურძნის მოსავლის აღების, დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის საკითხებზე

საქართველოს ბაღებსა და ვენახებში მოიწიფა უხვი მოსავალი. ახლა მთელი ყურადღება, მთელი ძალები ხმარდება იმას, რომ ორგანიზებულად მოიწყოს ხილისა და ყურძნის მოსავლის აღება, დამზადება, გადამუშავება და რეალიზაცია. ამ დიდმნიშვნელოვან საკითხებს მიეძღვნა ზონალური თათბირი, რომელიც 9 ოქტომბერს გაიმართა გორში. თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ პარტიის რაიკომების პირველი მდივნები, რაიაღმასკომების თავმჯდომარეები, სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოთა უფროსები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, ქარხლის, მესხეთის, ჯავახეთისა და სამხრეთ ოსეთის რაიონების კონსერვისა და ღვინის ქარხნების დირექტორები, სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები, მეცნიერები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. გელდიაშვილი, რესპუბლიკური გაერთიანება „სასოფლოტექნიკის“ თავმჯდომარე ი. ხოხლოვი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო-საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ი. რუმელიაშვილი.

მოხსენებანი გააკეთეს სოფლის მეურნეობის მინისტრმა მ. ფეიგინმა, კვების მრეწველობის მინისტრმა ვ. ვადაბაძორიამ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხილისა და ბოსტნეულის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ი. მცდალაშვილმ.

მოხსენებათა განხილვაში მონაწილეობდნენ პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ვ. გელაშვილი, პარტიის გორის რაიკომის პირველი მდივანი რ. ბზიშვილი, პარტიის ქარელის რაიკომის პირველი მდივანი ი. ტოლეიშვილი, პარტიის ხაშურის რაიკომის პირველი მდივანი დ. მაღალაშვილი, პარტიის კასპის რაიკომის პირველი მდივანი ვ. ქერქაძე, პარტიის მარნეულის რაიკომის პირველი მდივანი შ. ნემსაძე, პარტიის მცხეთის რაიკომის პირველი მდივანი ბ. ბაგთიაშვილი, პარტიის ბოლნისის რაიკომის პირველი მდივანი ნ. სანსიძე, პარტიის ახალციხის რაიკომის პირველი მდივანი შ. ბრძოლიშვილი, პარტიის გარდაბნის რაიკომის პირველი მდივანი ბ. ბეძანური, მეგანეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი ნ. ხუციშვილი, ვარიანის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ი. ლაბაძე, მცხეთის ღვინის ქარხნის დირექტორი ე. ჩაშიძე, გორის კონსერვის კომბინატის დირექტორი ბ. ბეძანური, პარტიის ადგილის რაიკომის პირველი მდივანი ა. მეძვაბიშვილი, სკრის მებაღეობის საცდელი სადგურის დირექტორი ბ. ბაბრიშვილი, ბრეთის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ბ. ჯაბაური, პარტიის ასპინძის რაიკომის პირველი მდივანი ლ. ისაკაძე, საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრი ი. დავითაშვილი, გორის რაიონის სოფელ ნიქოზის კოლმეურნეობის თავმჯდომარე რ. ყანჩაველი, ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის პირველი მოადგილე ი. ქარქაშიძე,

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲪᲝᲓᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲥᲔᲜᲘᲡ ᲬᲧᲣᲠᲕᲘᲚᲘ

ᲔᲠᲗᲘᲡᲣᲚᲝᲕᲜᲐᲓ შეიკრიბნენ პირველ მეცადინეობაზე ჭალაქ ცხაიას მესამე საშუალო სკოლის პარტორგანიზაციასთან არსებული მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის შემსწავლელი სემინარის მსმენელები. ისინი უველანი პედაგოგები არიან, იციან წიგნზე მუშაობა, მაგრამ მათ მაინც ესაჭიროებათ ხელმძღვანელი, რომელსაც შეუძლია პოპულარულად და მეცნიერულ დონეზე განმარტოს რთული საკითხები. ასეთ ხელმძღვანელად პირველადი პარტორგანიზაციის ბიურომ (მდივანი ეთერ წულაია) ისტორიის მასწავლებელი, ასპირანტი ა. ყურაშვილი მიიჩნია.

...ვრცელ ოთახში თვრამეტი მსმენელი მიუჯდა მაგიდებს. სემინარის ხელმძღვანელის ა. ყურაშვილის ლექციის თემა იყო „ისტორიული მატერიალიზმი. როგორც მეცნიერება“. ხელმძღვანელს შედგენილი ჰქონდა მოკლე გეგმა და კონსპექტი. იგი ცდილობდა კონკრეტული მასალა და ფაქტები გადაეცა კომუნისტურ მშენებლობასთან კავშირში. ხელმძღვანელმა განმარტა ისტორიული მატერიალიზმის არსი, მსმენელებს დაუსახელა წყაროები — კ. მარქსის და ფ. ენგელსის „რჩეული ნაწერები“, გ. პლეხანოვის „ისტორიის მატერიალისტური გაგების შესახებ“ და სხვ. მსმენელებმა მისცეს რამდენიმე შეკითხვა, რეულებში ჩაინიშნეს პასუხები.

სემინარის ხელმძღვანელმა ორი თემა დასახა მორიგი მეცადინეობისათვის, რაც 5 ნოემბერს მოეწყობა. პირველ თემაზე („ისტორიული მატერიალიზმი. როგორც მეცნიერება“) შემდგომ მეცადინეობაზე მოხსენებით გამოვა მსმენელი ვენერა ცაგურია, თანამომხსენებლები იქნებიან ტატიანა ერმოლაევა, ქსენია თოფურია, ივანე გუგუნავა. მეორე თემაზე („ისტორიული მატერიალიზმის ძირეული დაპირისპირება ისტორიული იდეალიზმისადმი“) მომხსენებელი იქნება თინა გვახარია, თანამომხსენებლები — თინა გრიგოლია, ლენა ცომაია, ეთერ წულაია.

...მეცადინეობა საინტერესო გამოდგა. იგი მიმდინარეობდა საქმიან ვითარებაში, სემინარის ხელმძღვანელმა იცოდა რა უნდა ეთქვა და როგორ, მსმენელებიც ცოდნის შეძენის განწყობით უსმენდნენ.

გ. მილიუტინი.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲛᲡᲛᲔᲜᲔᲚᲗᲐ ᲐᲥᲢᲘᲕᲝᲑᲘᲗ

ᲒᲐᲗᲣᲜᲘᲡ ელექტროხელსაწყოს ქარხანა ქალაქის ერთ-ერთი ახალგაზრდა საწარმოა. მიუხედავად ამისა, მან შორს გაითქვა სახელი — უცხოეთის ათზე მეტ ქვეყანაში გაავრთ მისი პროდუქცია.

საწარმოს პარტიულ ორგანიზაციაში გაერთიანებულია 110 კაცი. ისინი ჩაბმულნი არიან პარტიული განათლების ქსელში. სულ ქარხანაში შექმნილია 6 პოლიტსკოლა და სემინარი.

მეცადინეობის დაწყებას წინ უსწრებდა მოსამზადებელი მუშაობა. პარტბიურო ხაფხულის პერიოდში აწყობდა ლექციების ციკლსა და ლენინურ კითხვას. ექსკურსიებს, რევოლუციისა და სახელმწიფო მუზეუმებში. ახალი სასწავლო წლის დაწყების წინ პარტბიუროომ პროპაგანდისტებისა და სემინარის ხელმძღვანელებისათვის ჩაატარა საინსტრუქტაჟო თათბირი.

იმ დარბაზში, რომელშიც მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შემსწავლელი სკოლის მეცადინეობა მოეწყო, გამოფენილი იყო ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, რუსეთის სამივე რევოლუციის ამსახველი სტენდები და ილუსტრაციები.

მსმენელებისათვის სწავლების პირველი წლის პროგრამის გაცნობის შემდეგ პროპაგანდისტი გ. ცხომელიძე შეეხო კადრების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღების უდიდეს მნიშვნელობას.

პროპაგანდისტთა მეცადინეობის პირველ ნაწილში მსმენელებს მოეთხრო ვ. ი. ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. შემდეგ შეუდგა პროგრამით გათვალისწინებული თემალის — „მუშათა მოძრაობის დასაწყისი და მარქსიზმის გავრცელება რუსეთში“, (1883-1894 წლები) გადაცემას.

პირველმა მეცადინეობამ მსმენელთა აქტიური მონაწილეობით ჩაიარა.

მ. ᲒᲝᲠᲒᲘᲚᲐᲫᲔ.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

□ **ᲤᲝᲗᲘ.** ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა „ლენინური კითხვის სალამო“, რომელიც ფოთის საბავშვო ბიბლიოთეკაში გაიმართა.

დამსწრეებმა ინტერესით მოისმინეს მოხსენებები „ლენინი და ახალგაზრდობა“, „ლენინის გულისხმიერება, თავმდაბლობა და უბრალოება“, „ლენინი ბავშვების საუკეთესო მეგობარი“. მოხსენებები წაიკითხეს სტუდენტმა მ. ჯორბენაძემ, პიონერხელმძღვანელმა მ. გელაშვილმა და მკითხველმა ნ. სალიამ.

ლ. ᲚᲝᲚᲣᲐ.

□ **ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘ.** მაღალმთიანი სოფლის — ბეგნის კლუბი ემზადება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის. კლუბში ხშირად იკრიბებიან ახალგაზრდები, კომკავშირელები და ეკნობიან დიდი ბელადის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის ამსახველ ჟამთაწერნას.

კლუბში მაღალ იდეურ დონეზე მოეწყო საღამო, რომლის დამსწრეებმა მოისმინეს მოხსენება „ვ. ი. ლენინი — მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი“.

Ზ. ᲛᲔᲯᲐᲕᲜᲐᲫᲔ.

ᲔᲫᲚᲕᲜᲔᲚᲐ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲡ

ᲗᲔᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ.

ᲗᲔᲛᲐᲢᲣᲠᲘ ᲡᲐᲚᲐᲛᲝᲔᲑᲘ, ᲒᲐᲛᲝᲒᲕᲔᲜᲔᲑᲘ

□ **ᲛᲔᲡᲢᲘᲐ.** ორასი კაცი დაესწრო პარტიის მესტიის რაიკომის მიერ მოწყობილ თეორიულ კონფერენციას, რომელიც მიეძღვნა ლენინური კომკავშირის 50 წლისთავს.

„სახელოვანი 50 წელი“ — ასეთი იყო მოხსენება, რომელიც წაიკითხა პარტიის რაიკომის პროპაგანდის განყოფილების გამგემ ა.კ. გეჩიაძემ.

კონფერენციის მონაწილეებმა მოისმინეს აგრეთვე დ. ჯაჭილიანის, ვ. ხვიტანის, ა. ოდიესიანის, ლ. ჩართოლანის, ა. გაბლიანის, ზ. მარგიანის მოხსენებები.

დ. ᲯᲐᲭᲘᲚᲘᲐᲜᲘ.

□ **ᲑᲔᲒᲔᲕᲙᲝᲠᲘ.** სერგიეთის სასოფლო კლუბის (გამგე ლ. ახალია) მუშაკები გულმოდგინედ ემზადებიან ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის თუბელეს-თვის. მრავალ სხვა ღონისძიებათა გარდა კლუბში მოეწყო ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურის, ფოტოებისა და სხვა მასალების გამოფენა, რომელიც ასახავს საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის დიად ეპიზოდებს.

ამ გამოფენას სოფლის მშრომელები, ახალგაზრდობა ინტერესით ათვალიერებენ.

გ. ᲡᲘᲜᲯᲘᲐ.

ᲛᲡᲮᲔᲚᲝᲑᲔᲜ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲐᲑᲘᲜᲐᲝ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ, ᲙᲝᲛᲣᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲔᲗᲘᲚᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲓᲛᲘᲕ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲡᲐᲨᲘ

ᲒᲐᲜᲘᲛᲐᲠᲗᲐ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბინაო მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიის სხდომა. მოისმინეს კომისიის თავმჯდომარის დეპუტატთ. მოსაშვილის მოხსენება საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მიერ მიმდინარე წლის 8 თვის მშენებლობის გეგმების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

აღინიშნა, რომ სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ გარკვეული მუშაობა გასწია მშენებლობის გეგმების შესრულების, შრომის ნაყოფიერების ამაღლების, შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ამასთანავე ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ სამინისტრომ მიმდინარე წლის 8 თვეში ვერ შეასრულა საჯარო სამუშაოთა მოცულობის გეგმები.

მაგალითად, № 1 ტრესტის 10 ორგანიზაციიდან 8 თვის გეგმა ვერ შეასრულა 7 ორგანიზაციამ, № 2 ტრესტის 7 ორგანიზაციიდან — ხუთმა, № 3 ტრესტის 5 ორგანიზაციიდან — 4 ორგანიზაციამ. საგეგმო დავალებებს სისტემატურად ვერ ასრულებენ № 2, 16, 19, 20 მექანიზებული კოლონები.

ზოგ ორგანიზაციაში ჯერ კიდევ დაბალია შრომის ნაყოფიერება. შესამჩნევია სამშენებლო სამუშაოთა მნიშვნელოვანი გაძვირება გეგმასთან შედარებით. დაბალია სამშენებლო მექანიზმების გამოყენების კოეფიციენტი. ნაკლოვანებებია სამშენებლო მასალების მომარაგებაში, სათანადოდ არ არის ორგანიზებული აღგილობრივი სამენი მასალების გამოყენება.

სამინისტროს საწარმოებმა ვერ შეასრულეს ზოგი მასალის წარმოების 8 თვის გეგმა. მაგალითად, მცირე საკედლე ბლოკების წარმოების გეგმა შეასრულეს მხოლოდ 86.6 პროცენტით, დახარხილი ხეტყის — 59.4 პროცენტით, საღურგლო ნაწარმისა —78,5 პროცენტით და ა. შ.

ნაკლოვანებებია შრომის მოწინავე მეთოდების, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვაში, დაბალია რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის დონე.

საკითხის განხილვისას კამათში მონაწილეობა მიიღეს მუდმივი კომისიის წევრმა დეპუტატებმა: გ. ენგელიამ, ა. აკოფოვამ, ლ. ჩანაშვილმა, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრის მოადგილეებ ი. პარტენოვმა და სხვებმა.

კომისიამ შეიმუშავა და საჭირო რეკომენდაციები გაუგზავნა სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, სხვა სამინისტროებისა და უწყებებს, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს. (საქდესი).

ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

ᲞᲠᲐᲰᲐ, 8 ოქტომბერი. (საქდესი). პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის საბოლოო დღეს პრაღაში გამოაკვეთეს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის წერილი მთელი მსოფლიოს პროფკავშირებისა და მშრომელებისადმი პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ადმასრულებელი კომიტეტის 28 წლისთავთან დაკავშირებით.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია, ნათქვამია წერილში, შეიქმნა და კვლავაც ავითარებს თავის საქმიანობას იმისათვის, რომ ემსახუროს მშრომელთა გაერთიანებას ერთობლივ ბრძოლაში საერთო მიზნების მისაღწევად, განამტკიცოს მათი ურთიერთსოლიდარობა. პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია არასოდეს არ უღალატებს ამ ვალდებულებებს.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია მიესალმება ვმირ ვიეტნამელ ხალხს, სოციალისტურ საბერძნეთოთა პროფკავშირებსა და მშრომელებს, კაპიტალისტური ქვეყნების პროფკავშირულ ორგანიზაციებსა და მშრომელებს, განვითარებადი და კოლონიური ქვეყნების მშრომელებს და უსურვებს ახალ დიდ წარმატებებს დასახული მიზნებისა და ამოცანების შესრულებაში.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია, ნათქვამია წერილში, მთელი პასუხისმგებლობით ეკიდება თანამედროვე პროფკავშირული მოძრაობის წინაშე დასახულ ყველა რთულ პრობლემას, მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ქმედითი წვლილი შეიტანოს მათს გადაჭრაში. დღეს. როგორც არასდროს, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია არის იარაღი, რომელიც სჭირდება საერთაშორისო პროფკავშირულ მოძრაობას.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია მტკიცედ დარწმუნებულია, რომ ბრძოლა მშრომელთა ინტერესებისათვის მოითხოვს ერთობას და ხელმძღვანელობს რა პრინციპებით, რომლებსაც იცავს თავისი შექმნის მომენტიდან, კვლავაც განამტკიცებს თავისი რიგების შეკავშირებას და იბრძოლებს მთელი მსოფლიოს მთელი პროფკავშირული ძალების ერთობისათვის.

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠ ᲐᲡᲐᲛᲑᲚᲔᲐᲖᲔ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 8 ოქტომბერი. (საქდესის კორესპონდენტები ე. ბასკოვი და კ. ბელიაევი გვატყობინებენ:

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ღონისძიებელი დილის პლენარული სხდომა დაიწყო ტუნისის საგარეო საქმეთა მინისტრის **ᲰᲐᲑᲘᲑ ᲑᲣᲠᲑᲘᲑᲐᲡ** გამოსვლით. მან დაგმო ისრაელის აგრესია არაბულ სახელმწიფოთა წინააღმდეგ და ხაზგასმით აღნიშნა არაბ ხალხთა უფლება განთავისუფლონენ ისრაელის იმპერიალიზმის უღლისაგან.

ბურგიბამ თქვა, რომ ტუნისის მთავრობა მხარს უჭერს ყველა ფორიელი ხალხის ბრძოლას „პარტეიდისა და ყველა სხვა ფორმის რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ჩილეს საგარეო საქმეთა მინისტრმა **გ. ᲕᲐᲚᲓᲔᲡᲛᲐ,** რომელმაც მოითხოვა ისეთი საერთაშორისო პრობლემების რაც შეიძლება მალე გადაჭრა, როგორიცაა ვიეტნამის ომი და დაძაბულობა ახლო აღმოსავლეთში.

ჩილეს წარმომადგენელმა განსაკუთრებით აღნიშნა, რომ საჭიროა გაფართოონ საერთაშორისო ეკონომიური თანამშრომლობა და ძალთან გაითვალისწინონ აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ახალგაზრდა განვითარებად სახელმწიფოთა ინტერესები.

განის საგარეო საქმეთა მინისტრი **Ა. ᲐᲜᲜᲘᲜ** შეეხო თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ აფრიკელ ხალხთა პრობლემებს. მან გადაჭრით დაგმო რასისტული რეჟიმები სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასა და სამხრეთ როდეზიაში. მინისტრმა მოუწოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას „განაზორციელოს „საჭირო და ეფექტიანი ღონისძიებანი“ იან სმიტის რასისტული რეჟიმის წინააღმდეგ.

დანის საგარეო საქმეთა მინისტრის **Ა. ᲭᲐᲠᲚᲘᲜᲒᲘᲡ** გამოსვლა ამოიწურა ნატოს პროპაგანდის გაცვეთილი ლოზუნგების განმეორებით „ჩეხოსლოვაკიის ამბების“ გამო.

მან განაცხადა, რომ გენერალური ასამბლეის მუშაობის დროს დანიის მთავრობას განზრახული აქვს განსახილველად გამოიტანოს რეზოლუციის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ახალ ღონისძიებებს განიარაღების გზაზე. შეეხო რა ვიეტნამის ომის საკითხს, დანიის წარმომადგენელმა აღიარა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების უარი, შეწყვიტოს ჩრდილოეთ ვიეტნამის დაბომბვა, მთავარი დაბრკოლებაა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელთა პარიზის საუბრების წარმატების გზაზე.

ᲔᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲐᲜ ᲡᲔᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡᲢᲔᲑᲡ

ᲜᲘᲖᲔᲠᲘᲐ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 8 ოქტომბერი. (საქდესი). ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტმა ქალაქ უმუაჰაიდან — აღმოსავლეთ ნიგერიის სეპარატისტთა უკანასკნელი დასაყრდენიდან — გადმოსცა ცნობა, რომელიც მოწმობს, რომ ოკუკეუს რეჟიმი აქტიურად იყენებს თეორკანიან დაქირავებულთ ნიგერიის ფედერალური მთავრობის ჯარების წინააღმდეგ სომარ მოქმედებაში.

ცნობაში, კერძოდ, ნათქვამია, რომ აღმოსავლეთნიგერიელმა სეპარატისტებმა შექმნეს საგანგებო „დივიზია კომანდოსი“, რომელსაც მეთაურობს დასავლეთგერმანელი პოლკოვნიკი როლფ შტაინერი.

იგი თავის დროზე მსახურობდა საფრანგეთის „უცხოელთა ლეგიონში“. დივიზიის სხვადასხვა ქვეგანაყოფს მეთაურობენ აგრეთვე „ბოხალისე ოფიცრები“, მეტწილად ევროპელები.

ფრანს პრესის კორესპონდენტის ცნობიდან ჩანს, რომ „კომანდოსი“ შეიქმნა დივერსიული აქციებისათვის. როგორც ცნობაშია აღნიშნული, აღმოსავლეთ ნიგერიის რეიმის მეთაურმა ოკუკეუმ, რომელმაც ამ დივიზიის პარადი მიიღო, განაცხადა, რომ დივიზიის ჯარისკაცებს „მალე დაევალებათ ნიგერიის ფედერალური ჯარების ზურგში სპეციალური დავალების შესრულება“.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲓᲔᲞᲔᲨᲐᲗᲐ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲔᲑᲘ ᲘᲣᲬᲧᲔᲑᲘᲐᲜ

● ᲡᲐᲑᲔᲭᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲢᲔᲠᲠᲝᲠᲘ ᲐᲗᲔᲜᲨᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 8 ოქტომბერი. (საქდესი). გუშინ ათენის ტრიბუნალმა გადამდგარ ადმირალს კონსტანტინე ლუნდრასს — ხუნტის წინააღმდეგ თავისი გამოსვლებით ცნობილი გამომცემლისა და ჟურნალისტის ელენე ვლახუს მეუღლეს, მიუსაჯა 18 თვის პატიმრობა „იარაღის უკანონოდ შენახვისათვის“.

ამავე ტრიბუნალმა, როგორც რეიტერის საგენტო გვატყობინებს, კიდევ ოთხ კაცს — სამ ქალსა და ერთ მამაკაცს — მიუსაჯა 2-დან 5 წლამდე პატიმრობა მთავრობის საწინააღმდეგო ფურცლების გავრცელებისათვის. მსჯავრდებულებმა განაცხადეს, რომ მათი მიზანი იყო „დეიმზოთ ახლანდელი მთავრობა, რომელმაც გაუქმა კონსტიტუცია და მოსპო საბერძნეთში დემოკრატიული თავისუფლებანი“.

● ᲘᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐ

ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲞᲠᲝᲒᲝᲙᲐᲪᲘᲐ

ᲐᲛᲐᲜᲘ, 9 ოქტომბერი. (საქდესი). ისრაელის მხედრიონმა ახალი პროვოკაცია მოუწყო იორდანიის. როგორც აქ განაცხადა იორდანიის სამხედრო სარდლობის წარმომადგენელმა გუშინ ნაშუადღევს, მდინარე იორდანის ხეობის სამხრეთ ნაწილში ატყდა სროლა იორდანიისა და ისრაელის ჯარებს შორის.

წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისრაელებმა პირველმა დაუშინეს ცეცხლი. იორდანიის პოზიციებს ალ-მუნდასის ხიდის რაიონში. იორდანიის ჯარებმა ცეცხლითვე უპასუხეს. სროლის დროს, რომელიც 10 წუთს გრძელდებოდა, იორდანიის მხარეს ზარალი არ მოსვლია.

● ᲑᲣᲠᲒᲘᲡᲘ

ᲘᲛᲬᲘᲜᲔᲑᲐ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘ

ᲑᲝᲜᲜᲘ, 8 ოქტომბერი. (საქდესი). გერმანიის კომუნისტური პარტიის შექმნის ფედერალურმა კომიტეტმა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გაავრცელა ცნობა, რომელშიც შეჯამებულია მისი მუშაობის პირველი შედეგები.

როგორც აღნიშნულია ცნობაში, ფედერალური კომიტეტის 1968 წლის 25 სექტემბრის განცხადებას კომუნისტური პარტიის ხელახლა შექმნის შესახებ ფართოდ გამოეხმაურნენ: განცხადების გამოქვეყნების შემდეგ პირველ შვიდ დღეში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ყველა მხარეში ჩამოყალიბდა კომუნისტური პარტიის შექმნის სამხედრო კომიტეტები. ხალქო კომიტეტები მუშაობენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის 70-ზე მეტ ქალაქში კომიტეტები იქმნება აგრეთვე თემებში, ქალაქის რაიონებში, საწარმოებში.

● ᲘᲢᲐᲚᲘᲐ

ᲘᲢᲐᲠᲐᲕᲔᲜ ᲨᲔᲓᲔᲕᲠᲔᲑᲡ

ᲠᲝᲛᲘ, 8 ოქტომბერი. (საქდესი). იტალიის ხელოვნების საგანძურის დაცვისთვის პასუხისმგებელმა პირებმა განგაში ატეხეს. სტატისტიკური მონაცემები, რომლებსაც ისინი იმოწმებენ, ადასტურებენ მათი შეშფოთების საფუძვლიანობას: ხელოვნების ნაწარმოებთა და სიძველეთა ქურდობამ იტალიაში მასობრივი ხასიათი მიიღო.

1966 წელს მუზეუმებიდან, ეკლესიებიდან და კერძო კოლექციებიდან 90-ჯერ მოიპარეს სხვადასხვა ნივთი. მოპარულია 2.500-ზე მეტი ხელოვნების ძვირფასი ნაწარმოები — ანტიკურიდან თანამედროვემდე. შარშან, 1967 წელს, გაქურდვათა რიცხვმა 144 მიაღწია.

როგორც რომის პრესა იუწყება, მოპარული ხელოვნების, ქანდაკებებისა და ხელოვნების სხვა ნაწარმოებთა მნიშვნელოვან ნაწილს გზავნიან საზღვარგარეთ და გარკვეული ხნის შემდეგ პოულობენ სამე ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, შვეიცარიაში.

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲚᲘ

ᲓᲘᲓᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘ. 2000-მდე დემონსტრანტი გამოვიდა ქალაქ ლონდონდერის (ჩრდილოეთი ირლანდია) ქუჩებში. ისინი ხელისუფლებისაგან მოითხოვდნენ საცხოვრებელი ბინითა და სამუშაოთი დაკმაყოფილებას, აგრეთვე საყოველთაო ხმის მიცემის უფლებას. პოლიცია სასტიკად გაუსწორდა დემონსტრაციის მონაწილეებს. დაჭრილია 40-მდე კაცი. ტელეფოტო იუპი-საქდესისა.

ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲐ

ᲛᲦᲔᲚᲕᲐᲠᲔᲑᲐ ᲛᲔᲥᲘᲙᲝᲨᲘ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 8 ოქტომბერი. (საქდესი). ᲐᲑᲚᲐᲕ ᲓᲐᲙᲐᲒᲣᲚᲘᲐ ᲗᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲛᲔᲥᲘᲙᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ, ᲡᲐᲡᲐᲦᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲛᲔᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲗᲗᲐ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

როგორც ფრანს პრესის საგენტოს მეხიკოელი კორესპონდენტი იუწყება, პოლიტექნიკური ინსტიტუტის ათასზე მეტი სტუდენტი შეიკრიბა ინსტიტუტის ერთ-ერთ შენობაში. ამ შეხვედრის მთავარი შედეგი იყო მოწოდება „ყველა მექსიკელი სტუდენტისადმი განაგრძონ ბრძოლა თავიანთი უფლებებისათვის.

სტუდენტები აგრეთვე მოითხოვენ პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლებას.

სტუდენტთა ეროვნულმა საგაფიცვო სბჭომ, რომელიც სათავეში უდგას ნახევარ მილიონზე მეტი მექსიკელი სტუდენტის ბრძოლას, განაცხადა, რომ სტუდენტთა დემონსტრაციები მომავალში მოეწყობა მხოლოდ უნივერსიტეტის ქალაქის ტერიტორიაზე.

განმარტა რა სბჭოს გადაწყვეტილება, სტუდენტთა ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა მიგელ ოლდიმ აღნიშნა, ამას იმიტომ ვაკეთებთ, რომ თავიდან ავიცილოთ უმიზნო მსხვერპლი. „მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, — თქვა ოლდიმ, — თითქოს ვაპირებდეთ საპროტესტო მოძრაობის შეწყვეტას. კვლავაც ვიბრძოლებთ ჩვენი მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის“.

გარდა ამისა, აღნიშნა მექსიკელ სტუდენტთა ხელმძღვანელმა, ვამაყობთ, რომ მეხიკო არის ადგილი, სადაც ეწყობა ოლიმპიური ასპარეზობა. ჩვენ არ გვინდა ჩავშალოთ, საბოტაჟი გავუწიოთ ან რითიმე ხელი შევუშალოთ ამ ასპარეზობას, გაანცადა მან.

მთავრობა ახორციელებს სტუდენტთა ბრძოლის ჩახშობის ღონისძიებებს. ეროვნული კონგრესის დეპუტატთა პალატამ სპეციალურ სხდომაზე დაამტკიცა მთავრობის წინადადება სტუდენტთა მანიფესტაციების წინააღმდეგ უფრო მკაცრი ღონისძიებების შესახებ.

ფიზიკოსთა ფორუმი თბილისში

ბეთხუთმეტე, ტრადიციული...

ინტერვიუ მეცნიერებთან

ე. ანდრონიკაშვილი,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

დიდი ხანია მეცნიერთა და სპეციალისტთა ყურადღებას იპყრობს ტემპერატურული ჭის ფსკერზე მიკროტალღოვანი ელექტრონული მრეწველობის მუშაკებისათვის, რომლებსაც საკმე აქვთ ნახევარგამტარულ და სხვა ზუსტ თანადროულ ტექნიკასთან. გარდა ამისა ზეგამტარობის მეცნიერების დარგში დაბალი ტემპერატურების ფიზიკის შედეგები უშუალოდ დაკავშირებულია ტექნიკური პროგრესის აქტუალური ამოცანების გადაწყვეტასთან ელექტროტექნიკურ მრეწველობაში. ვფიქრობ, რომ ზეგამტარი ლითონის შენადნობები მიგიღოთ უფრო მაღალი ტემპერატურების დროს, ვიდრე ახლა გვაქვს, ეს ნამდვილი ტექნიკური რევოლუციი იქნებოდა. ამ პრობლემის გადაწყვეტის შედეგად შეიძლებდით აგვეგო ელექტროგადამცემი ხაზები, ცვლადი დენის ტრანსფორმატორები, მოტორები და გენერატორები ენერგიის დაუკარგავად. ყოველივე ეს დაზოგავს დიდძალ სახსრებს, რომლებიც ამჟამად ხშირად ფუჭად იხარჯება.

შემთხვევითი არ არის, რომ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ ჩვენი ქვეყნის ფიზიკოსებს უმნიშვნელოვანეს ამოცანად დაუსახა მაღალტემპერატურიანი ზეგამტარების მიღება.

თბილისი საბჭოთა კავშირის მესამე ქალაქია, რომელშიც შეიქმნა დაბალი ტემპერატურების ფიზიკის ლაბორატორია. მთელი რიგი წლების მანძილზე ქართველი ფიზიკოსები იკვლევენ ბუნების ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო და იდუმალ მოვლენას, რომელიც 1938 წელს აღმოაჩინა აკადემიკოსმა პ. ლ. კაპიცამ. ამ მოვლენას ზედნადობას უწოდებენ. ქართველი ფიზიკოსების მუშაობა ამ დარგში ცნობილია ყველა ქვეყანაში. შემთხვევითი როდია, რომ ბევრი კრიოგენული (დაბალტემპერატურიანი) ექსპერიმენტი, რომლებიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტისა და თბილისის უნივერსიტეტის ლაბორატორიებში მოეწყო, ფუძემდებლური იყო ამ მეცნიერების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. ამ დარგში საინტერესო სამუშაოები შეასრულეს ქართველმა თეორეტიკოსებმაც.

იმ მეცნიერთა ნაშრომებს შორის, რომლებიც დაბალი ტემპერატურების დარგში მუშაობენ, მსურს აღვნიშნო ჩემი მოწაფეების ი. მამალაძის, ჯ. წკვანის, გ. გამცემლიძის ორიგინალური ექსპერიმენტული და თეორიული გამოკვლევები. ისინი გამოვლენ ჩვენს თანამბრძოლ.

მ. მალკოვი,

პროფესორი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის პრობლემათა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, თათბირის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

დაბალ ტემპერატურათა მეთოდები სულ უფრო იკვლევს გზას ფიზიკის თითქმის ყველ დარგსა და ტექნიკის ბევრ დარგში. ჩვენი თათბირი მოწოდებულია განიხილოს დაბალ ტემპერატურათა ფიზიკის თითქმის ყველა ასპექტი, რომლებიც მეცნიერთა სულ უფრო ფართო წრის ყურადღებას იპყრობს. სწრაფად ვითარდება თეორიული გამოკვლევები და ექსპერიმენტული სამუშაოები თხევადი ჰელიუმის — ამ საოცარი, მსოფლიოში ერთადერთი კვანტური სითხის დარგში, რომელიც ახალ თვისებებს ავლენს იმ ტემპერატურის პირობებში, რომელიც აბსოლუტურ ნულს უახლოვდება.

სხვა ღირსშესანიშნავი მოვლენა — ლითონთა და შენადნობთა ზეგამტარობა, რომელიც შესამჩნევი კვლევინით 1-18 გრადუსი ტემპერატურების ინტერვალში, შესანიშნავ პერსპექტივებს სახავს ტექნიკაში. თუ შეეძლებთ და მივიღებთ დაბალი ტემპერატურიანის მსგავს მაღალ ტემპერატურიან ზეგამტარებს, — ეს პირდაპირ ტექნიკური გადატრიალება იქნება. თათბირზე განვიხილავთ მყარი სხეულის დაბალი ტემპერატურის თვისებათა პრობლემებს (გალვანომაგნიტური მოვლენები, ლითონების ელექტრონული თვისებანი, მაგნიტურ სტრუქტურათა თვისებანი და სხვ.).

ტექნიკური ფიზიკის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ყოველნაირად სრულყოს ჰელიუმის გათხევადების მანქანები, შექმნას ტევადობანი მისი ხანგრძლივი შენახვისათვის და სხვა ექსპერიმენტული ტექნიკა. ჩვენს თათბირზე ფართოდ განვიხილავთ ზეგამტარი სოლენოიდების (მოწყობილობანი ძლიერი მაგნიტური ველების შესაქმნელად) სრულყოფის საკითხს. შექმნილია ექსპერიმენტის ტექნიკის ხექცია, სადაც სპეციალურად განიხილავენ დაბალი ტემპერატურების პრაქტიკული გამოყენების სხვადასხვა ასპექტს.

ლ. ბეგილოგუა,

პროფესორი, ბერლინის მეცნიერებათა აკადემიის დაბალ ტემპერატურათა ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი და დრეზდენის უნივერსიტეტის დაბალ ტემპერატურათა ფიზიკის კათედრის გამგე

საქართველოში მეორედ ვარ. გარდა ამისა, მქონდა ბედნიერება შეეხვედროდი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორს აკადემიკოს ე. ანდრონიკაშვილს დრეზდენში, სადაც იგი საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და ბერლინის მეცნიერებათა აკადემიის კულტურული თანამშრომლობის ხელშეკრულების შესაბამისად.

უწინარეს ყოვლისა, მინდა ხაზი გავუსვა უაღრესად მრავალმხრივ და ღრმა გამოკვლევებს დაბალ ტემპერატურათა ფიზიკის დარგში, რომლებსაც ჩვენი თბილისელი კოლეგები ეწევიან. ეს გამოკვლევები გვაოცებენ თავიანთი ორიგინალობით, მიზნდასახულობით, მე ვიტყოდი, დახვეწილობით. დაბალ ტემპერატურათა ფიზიკის დარგში ქართველი მეცნიერთა ნაშრომები, ჩემი აზრით, უფუნდამენტალურია.

ჩვენ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ვმუშაობთ დაბალ ტემპერატურათა ფიზიკის ერთ-ერთ პრობლემაზე — კეთილშობილური გაზების, კერძოდ, ტექნიკაში ფართოდ გამოსაყენებელი ნეონის გათხევადების პრობლემაზე.

გ. ვერკინი,

ხარკოვის დაბალ ტემპერატურათა ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის დირექტორი, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

უკანასკნელ ორ ათწლეულში თანამედროვე ახალი ტექნიკის მთელ რიგ დარგებში მომუშავე კოსმონავტებისა და ინჟინრების ინტერესთა სიმძიმის ცენტრმა გადაინაცვლა ძალზე დაბალი — წყალბადის და ჰელიუმის ტემპერატურების დარგში. გაჩნდა ტექნიკის ახალი დარგები — დაბალი ტემპერატურის ელექტრონიკა, ზეგამტარი ელექტროტექნიკა, დიდძალი პრიოგენული სითხეების გათხევადებისა და შენახვის ტექნიკა, დაბალი ტემპერატურის მატერიამცოდნეობა და ბევრი სხვა. ეს შესაძლებელი გახდა დაბალ ტემპერატურათა ფიზიკის დარგში, უფრო ზუსტად, დაბალი ტემპერატურების დროს კონდენსირებულ მდგომარეობათა ფიზიკის დარგში მეცნიერული გამოკვლევების უაღრესად ფართო ფრონტის წყალობით.

ამ სამუშაოთა ფრონტის განვითარებაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეკუთვნის სსრ კავშირის ფიზიკოსებს, უწინარეს ყოვლისა, და დაბალი ტემპერატურის სპეციალისტთა სამ ძირითად სკოლას — მოსკოვის, ხარკოვის (უძველესი ჩვენს ქვეყანაში), თბილისის სკოლებს. დაბალ ტემპერატურათა ფიზიკის საკითხებზე სრულიად საკავშირო კონფერენცია თბილისში მეორედ ეწყობა. პირველი 1958 წელს გაიმართა. გასული 10 წლის მანძილზე ქართველმა ფიზიკოსებმა, რომლებიც ამ დარგში მუშაობენ, ბევრი ახალი საინტერესო და დიდმნიშვნელოვანი მეცნიერული შედეგები მოიპოვეს, უწინარეს ყოველისა თხევადი ჰელიუმის თვისებათა შესწავლის თეორიის დარგში, ექსპერიმენტისა და აგრეთვე ზეგამტარობის მოვლენათა კვლევის დარგში.

დაბალ ტემპერატურათა ფიზიკის სპეციალისტთა მე-15 კონფერენციის, რომელიც თბილისში მიმდინარეობს სოციალისტური ქვეყნების მეცნიერთა მონაწილეობით, ახასიათებს ახალგაზრდა მეცნიერთა შემოქმედებითი აქტივობა, შინაარსიანი, ღრმა მოხსენებები, რომლებიც ასახავენ ახალ წარმატებებს მეცნიერების ამ დიდმნიშვნელოვან დარგში. (საქდეს).

ვითარების ობიექტური შეფასებისათვის

ვუგრუნდებით დაბეჭდილს

ზაზეთ „კომუნისტის“ 1968 წლის 6 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნდა ბ. თუმანიშვილისა და დ. ბაცაცელიშვილის წერილი —„მაღალხარისხოვანი ყურძენი საუკეთესო ღვინოა“.

სტატიის ავტორები სამართლიანად აღნიშნავენ, რომ, მიუხედავად ქიმიური და ბიოქიმიური მეცნიერების, სინთეზური ქიმიისა და საერთოდ ტექნოლოგიის დიდად განვითარებისა, სადღეისოდ ყურძენი მაინც რჩება ღვინის ბუნებისა და ხარისხის ძირითად ფაქტორად...

ისიც სწორია, რომ „ღვინის აკვარგანობა ბევრად არის დამოკიდებული მეღვინე ტექნოლოგის მომზადების დონესა და გამოცდილებაზე, მის უნარსა და ერუდიციაზე-პატრიოტულ გრძნობებზე, მაგრამ მას მაინც არ ძალუძს ისეთი ახალი რამ შექმნას, რაც ბუნებას არ მოუცია. ტექნოლოგია იმისათვის არის მოწოდებული, რომ გააუმჯობესოს ის, რაც ბუნებრივად არის მოცემული ყურძენსა და ღვინოში...“

ჩვენც, ისე, როგორც ზემოაღნიშნული სტატიის ავტორები, სიამაყის გრძნობით აღვნიშნავთ, რომ საქართველო არის მაღალხარისხოვანი და ძვირფასი ყურძენი და ღვინოების მწარმოებელი ქვეყანა, რომ ჩვენი ქართული ვაზის ჯიშთა სიუხვე, მიკროკლიმატურ პირობათა ნაირფეროვნება იძლევა იმის ამოუწურავ შესაძლებლობას, რომ აქ მზადდებოდეს სხვადასხვა ტიპისა და სახის მაღალხარისხოვანი ღვინოები, მათი უნიკალური სახეები.

ეს ყველაფერი კარგი და მისასალმებელია. მაგრამ სტატიის ის ნაწილი, რომელიც ეხება ღვინის ქარხნებისთვის უხარისხო და უკონდიციო ყურძნის ჩაბარების შემთხვევების ზრდას, მის გამომწვევ მიზეზებს, ფიქრობთ, ახსნილია არასწორად.

სტატიის ავტორები აღნიშნავენ, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დროულად არ ახორციელებენ აგროღონისძიებებს, ცალკეულ ბრიგადასა და რაიონს უხდად შეაქვს არაორგანული სასუქები, მათ შორის აზოტოვანი სასუქები, მაშინ, როცა ეს უკანასკნელნი ზოგან შეიძლება სულაც არ იყოს საჭირო, ზედტორია ყურძნის ჯიში. დიდი ქართველი მეცნიერი ბ. პეტრიაშვილი ხაზს უსვამდა ყურძნის ჯიშის მნიშვნელობას ამ საქმეში. ღვინის ხარისხთან დაკავშირებით ყურძნის ჯიში უნდა განვიხილოთ არა აგრონომიული, არამედ ტექნოლოგიური თვალსაზრისით, რადგან ყურძნის წვენის ფიზიკურ-ქიმიური შედგენილობა საკმაოდ რთულია.

ქართული ღვინის ხარისხი დიდად არის დამოკიდებული რთვლის დროულად და ხარისხიანად ჩატარებაზე, ყურძნის გადაშუშავების ტექნოლოგიური წესის სიზუსტეზე, ღვინის დაყენებისა და მოვლის წესებზე.

კარგი ხარისხის ღვინის მიღება და მისი სათანადოდ შენახვა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ საღვინე ჭურჭელი, მარანი, იარაღ-მანქანები კარგად იქნება მოვლილი და წესიერად ჩატარდება ყურძნის გადაშუშავებისა და ღვინის დაყენების ტექნოლოგიური პროცესი.

საუკეთესო ღვინო, თუ ის თავის თავზეა მინდობილი, სათანადო მოვლა არა აქვს, ფუჭდება და იღუპება, საჭიროა ჩაერიოს ადამიანი, რომელმაც უნდა შეუქმნას სასმელს ყველაზე ხელშემწყობი პირობები მისი ბუნებრივი თვისებების, ხასიათის, ბუკეტის და სათანადო ვიმის სრული განვითარებისათვის.

ჩვენს ყოველდღიურ საზრუნავს ქართული ღვინოების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესება უნდა წარმოადგენდეს. ქართული ღვინოების მაღალი ღირსება მეგენასებისა და მეღვინეობის დარგის მუშაკებს გვიჯალებს განუწყვეტლივ ავამაღლოთ მისი ხარისხი, რომ სასმელად გვქონდეს სასიამოვნო სურნელოვანი ღვინო.

ამრიგად, რესპუბლიკის მევენახეთა და მეღვინეთა მთავარი საბრძოლო ამოცანა არის ქართული ღვინის ხარისხის შემდგომი ამაღლებისათვის საერთო ზრუნვა.

ამიტომ კარგი იყო წერილის ავტორებს გაბედულად ეთქვათ თვით იმ უწესობაზე, რასაც ზოგჯერ ადგილი აქვს ყურძნის მოღებისა და გადამუშავების საქმეში.

ნაკლოვანებათა დროული მხილება, მოგესსენებათ, მისი გამოსწორების თავდებია.

ვ. ქანთარია,
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

გ. ბერიძე,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ერეკვნული კულტურის უმაღლესი კერა

თბილისის უნივერსიტეტის 50 წლისთავისათვის

განუზომლად დიდია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამსახურება ქართული კულტურის წინაშე. ჩვენი ეროვნული კულტურის რომელი დარგიც არ უნდა ავიღოთ — სახალხო განათლება იქნება იგი თუ მეცნიერება, ლიტერატურა თუ ხელოვნება, — ყოველი მათგანი მთავარი ძარღვით დაკავშირებულია თბილისის უნივერსიტეტთან, რომელსაც ჩვენმა ხალხმა სავსებით სამართლიანად შეარქვა ეროვნული კულტურის წმიდა ტაძარი.

თბილისის უნივერსიტეტმა შექმნის დღიდანვე გააგრძელა და წლების განმავლობაში ამაღლება ის ტრადიციები, იდრე შუასუკუნეებში ჩვენს ქვეყანაში მოქმედ და შემდეგ ეამთა სიავის გამო ჩაფერფლილ სასწავლო და სამეცნიერო კერებში რომ შეიქმნა. XI-XII საუკუნეების საქართველოში და მის გარეთ მოქმედი ეს დაწესებულებანი ქართული კულტურის ჰიმოალინება-განვითარების მასულდგმულებელ წყაროებს წარმოადგენდნენ.

გელათის აკადემიას, რომელიც XII საუკ. დასაწყისში დავით აღმაშენებელმა დააარსა, „ავისუფლად შეიძლება ეწოდოს საქართველოს პირველი უმაღლესი სასწავლებელი. იგი, ისე როგორც შუა საუკუნეების უნივერსიტეტები, სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის ერთობლიობას, კორპორაციას (Universitas) განასახიერებდა. გელათი და იყალთო, ისე როგორც მანგანის აკადემია ბიზანტიაში, ბოლონიის უნივერსიტეტი იტალიაში, პარიზისა და მარტრის უნივერსიტეტები საფრანგეთში, წარმოადგენდნენ ჰუმანისტური მოძრაობის იმ პირველ კერებს, რომელთა შემოქმედებიოს ნიადაგზე აღმოცენდა ქართული რენესანსი. თუ ქართული კულტურა შუა საუკუნეების ეპოქაში მზარს უსწორებდა მსოფლიოს ცივილიზაციას და მის საგანძურში მნიშვნელოვანი წვლილთ შეიდა, ეს უწინარეს ყოვლისა დამსახურება იყო იმ აღორეული სასწავლო სამეცნიერო დაწესებულებებისა, რომლებიც სავსებით სამართლიანად თბილისის უნივერსიტეტის წინაპრებად ითვლებიან წოდებულნი.

XIII საუკუნიდან ქართული საუნივერსიტეტო განათლების და მასთან ეროვნული კულტურის ჩარხი უკიღმა დატრიალდა. მთელი ექვსი საუკუნის განმავლობაში ფიზიკური გადარჩენისათვის მებრძოლ ქვეყანას საუნივერსიტეტო ტრადიციების შენარჩუნება-განვითარების შესაძლებლობანი, მართალია, დაზუსტული ჭქონდა, მაგრამ დროის ქარტეხილებმა შაინც ვერ გაახმო, ვერ ამოძირკვა ქართული უმაღლესი სკოლის ფესვები. კორნელი კეკელიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „**უნივერსიტეტი პოტენციურად მუდამ არსებობდა ჩვენს საზოგადოებრივ შეგნებაში**“. შემთხვევითი როდია ის ფაქტი, რომ ილია ჭავჭავაძე, ი. გოგებაშვილი, ნ. ცხვედაძე და სხვები, 1897 წელს მაშინ სრულიად დაუსახლებელ ვაკეში ქართული გიმნაზიის საფუძვლებს რომ ჩაყრიდნენ, გონებაში ედგა ქართულ უნივერსიტეტს, რომლის შექმნა, რეაქციონერთა გაადფორებული წინააღმდეგობის მიუხედავად, ფიქიანია მომწიფებული იყო.

სუბპოთა ხელისუფლების პირველსავე წლებში უნივერსიტეტმა სწრაფი ზრდა-დასრულება განიცადა. ფაკულტეტებს ფაკულტეტები ემატებოდა და ბევრი მათგანი იმდენად მოღონიერდა, რომ ცალკე სასწავლო ინსტიტუტად ჩამოყალიბდა. ასე გამოეყვნენ უნივერსიტეტს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, სამედიცინო ინსტიტუტი. უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის ბაზაზე შეიქმნა თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი. უცხო ენათა ინსტიტუტი. თბილისის უნივერსიტეტის მიერ აღზრდილი სამეცნიერო-პედაგოგიური კადრები შადგენენ ძირითად ბირთვს ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, თელავში, გორში აღმოცენებული პედაგოგიური ინსტიტუტებისა. თბილისის უნივერსიტეტი ასეთი განტოტების მიუხედავად კვლავ დარჩა ქართული ეროვნული კადრების უმძლავრეს სამეცნიერო. დაარსებიდან დღემდე მას ჩვენი რესპუბლიკისათვის ათეულ ათასობით სპეციალისტი მყავს მიცემული. უნივერსიტეტის თხუთმეტი ფაკულტეტი ჩვენი კულტურის ფოსტს ყოველწლიურად უგზავნ აწყდის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს — ფიზიკოსებს, მათემატიკოსებს, ქიმიკოსებს, ლიტერატორებს, ენათმეცნიერებს, ისტორიკოსებს, იურისტებს, ეკონომისტებს, გეოლოგებს, გეოგრაფებს, ფილოსოფოსებს.

თუ დღეს საქართველო მსოფლიოში ყველაზე მოწინავე ქვეყანაა მოსახლეობის სულადობაზე უმაღლეს დამთავრებულთა რაოდენობის მხრივ, თუ სახალხო განათლება — ქართული კულტურის ეს უმნიშვნელოვანესი დარგი ჩვენს რესპუბლიკაში ასე მაღალ დონეზეა, ამაში მთავარი დამსახურება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეკუთვნის, რომელიც სამართლიანად აღიარებულია რესპუბლიკაში არსებული 18 უმაღლესი სასწავლებლის დედა-მშობლად და კადრების ყველაზე უდიდეს სამკედლად.

ათას ცხრაას ჩვიდმეტი წლის მარტში, როცა ის-ის იყო იხაზებოდა პირველი კონტურები თბილისის უნივერსიტეტისა, მისმა სულისჩამდგმელმა და მთავარმა მოამაგემ ივანე ჯავახიშვილმა ასე ჩამოაყალიბა ამოცანები, რომლებიც კულტურის ამ ახალ კერას პირველ რიგში უნდა გადაეწყვიტა: „**საქართველოს და კავკასიის წარსული და აწმყო, მათი ბუნება და ადამიანი უნდა შეადგენდეს ამ ქართული უნივერსიტეტის ყოველმხრივი კვლევა-ძიების უპირველეს მიზანს**“. დიდ მეცნიერსა და მოქალაქეს მიაჩნდა, რომ ეროვნულ უნივერსიტეტს. პირველ რიგში, ქართველოლოგიისათვის უნდა მოეფინ. მეცნიერულად უნდა ეკვლია არა მარტო საქართველოს, არამედ ისტორიულად მასთან დაკავშირებული ქვეყნების მატერიალური და სულიერი ცხოვრების წარსული და აწმყო. ქართველოლოგიის მაღალი მეცნიერული დონე ქართულ უნივერსიტეტს თავის სპეციფიკურ სახეს მისცემდა, ეროვნულ ფორმას გამოუკვეთდა. პირველ რიგში ამ ამოცანის დაფუძნებულ ეროვნული ფერმა ამ ამოცანის დადაწყვეტით შეძლებდა იგი „მსოფლიო შემოქმედებაში საკუთარი წვლილის შეტანას“.

ამ ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლის მესვეურობა თვით იკისრა ივანე ჯავახიშვილმა, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე უნივერსიტეტში წარმატებით მოთავეობდა ქართველოლოგიას და იგი მტკიცე მეცნიერულ ნიადაგზე დაამყარა.

ივანე ჯავახიშვილმა ერა მარტო შექმნა ახალი ეტაპი მეცნიერული ქართველოლოგიის განვითარებაში, არამედ მოამზადა კიდეც კადრები, რომელთაც მის მიერ დაწყებული დიდი ეროვნული საქმე უნდა გაეგრძელებინათ.

ივანე ჯავახიშვილის სკოლამ ქართულ ისტორიოგრაფიაში და მის დამბმარე დისციპლინებში — არქეოლოგიასა და ეთნოგრაფიაში თავიდანვე ისახელა თავი დიდი წარმატებებით, რაც გამოხატულებას პოულობს ღრმა მეცნიერულ-ფაქტოლოგიურ განზომილებებში, სამეცნიერო კადრების გეგმაზომიერ მომზადებაში, საქართველოს ისტორიის ცალკეულ პრობლემებზე მონოგრაფიული ნარკვევების შექმნაში. ივანე ჯავახიშვილის მიერ აღზრდილ ქართველ ისტორიკოსთა ახალ თაობას, რომელიც მარქსისტულ-ენინური მეთოდოლოგიის მომარჯვებით იყენებს მასწავლებლის მდიდარ მემკვიდრეობას, ახალ მაღალ საფეხურზე აჰყავს ქართველი ერის ისტორიის შესწავლის საქმე და ამით ფასდაუდებელი წვლილი შეაქვს ეროვნულ და მსოფლიო კულტურაში.

ენიგერსიტეტის დაარსებიდანვე გაიშალა ინტენსიური მეცნიერული მუშაობა ქართულ ფილოლოგიაში. ქართული ლიტერატურის და ენათმეცნიერების ეროვნული სამეცნიერო სკოლები, რომელთა ჩამოყალიბებაში წამყვანი როლი ი. ჯავახიშვილთან ერთად კორნელი კეკელიძეს, აკაკი შანიძეს, გრიგოლ წერეთელს, ბიორგი ახვლედიანს და სხვებს ეკუთვნით, მსოფლიოში აღიარებულ სამეცნიერო სკოლებს წარმოადგენენ და სამართლიანად არიან მიჩნეული კავკასიოლოგიის უმძლავრეს კერებად მთელ მსოფლიოში.

უნივერსიტეტის არსებობის ნახევარი საუკუნის განმავლობაში მისმა მეცნიერულმა ძალებმა უდიდესი მუშაობა გასწიეს ლიტერატურათმცოდნეობაში ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურის შესწავლის, სხვადასხვა ქვეყნებთან ქართველთა კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის გარკვევის საქმეში. თუ დღეს, საბჭოთა კავშირში და უცხოეთშიც ფართო და მაღალი წარმოდგენა აქვთ ძირძველ ქართულ ლიტერატურაზე, მისი განვითარების ტენდენციებზე, და იმ წვლილზე, რაც ქართულმა ლიტერატურამ ცივილიზაციის საერთო საგანძურში შეიტანა, ამაში პირველი და მთავარი დამსახურება თბილისის უნივერსიტეტის ლიტერატურათმცოდნეობის კათედრებს, მის ნიჭიერ კოლექტივს ეკუთვნის.

თბილისის უნივერსიტეტში წარმოებდა და წარმოებს დიდად ნაყოფიერი მეცნიერული კვლევა-ძიება ალმოსავლეთმცოდნეობაში, ქართული ფილოსოფიის, სამართლისმცოდნეობის, ეკონომიკის პრობლემებზე.

ამრიგად, უნივერსიტეტმა, აიღო რა მისი დამაარსებლის ი. ჯავახიშვილის მიერ დასახული გეზი, ქართველოლოგიაში ამ ორმოცდაათი წლის მანძილზე დიდი მეცნიერული საგანძური შექმნა. ქართველოლოგიური კვლევა-ძიება ახლა ნაყოფიერად და წარმატებით მიმდინარეობს არა მარტო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ კათედრებზე, არამედ უნივერსიტეტის ბაზაზე აღმოცენებულ და უნივერსიტეტში აღზრდილი კადრებით დაკომპლექტებულ სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში. ქართველოლოგიური მონაპოვარი სპეციფიკური სახეა თბილისის უნივერსიტეტისა, მისი მთავარი შენატანი საკაცობრიო ცივილიზაციის საგანძურში. ეს მონაპოვარი შეუძლებელი იქნებოდა, რომ უნივერსიტეტის არ ჰქონოდა მაღალი ტრადიციები, რომ მის კოლექტივს არ ჰქონოდა საბჭოთა საქართველოს მთავრობის და კომუნისტური პარტიის ყოველდღიური მზრუნველობა და მხარდაჭერა. ქართველოლოგიის მძლავრი ცენტრის შექმნა და მისი აღიარებული წარმატებანი ქართული კულტურის წინაშე უნივერსიტეტის მთავარი დამსახურებაა.

თბილისის უნივერსიტეტი თავის სამეცნიერო საქმიანობაში მარტო ქართველოლოგიით რომ დაკმაყოფილებულიყო, იგი თავის მაღალ დანიშნულებას ერის წინაშე ვერ გაამართლებდა. უნივერსიტეტს ეკისრებოდა საქართველოს ბუნებრივი რესურსების შესწავლა და ხალხის საკეთილდღეოდ მათი გამოყენებისათვის გზების დასახვა, სახალხო მეურნეობის წინსვლის ტემპების დაჩქარებისათვის სამსახურში მეცნიერული აზრის ჩაყენება, ტექნიკური ინტელიგენციის გაზრდა და წვლილის შეტანა იმ ტექნიკურ რევოლუციაში, ურომლისოდაც სოციალიზმის აშენება ჩვენს ქვეყანაში წარმოუდგენელი იყო. საბუნებისმეტყველო და ზუსტ მეცნიერებათა განვითარებისათვის სამსახურში უნივერსიტეტში თავიდან ჩადგნენ მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, გეოგრაფია-გეოლოგიის და სხვა ფაკულტეტები. თბილისის უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა მსოფლიოში სახელგანთქმული სკოლა ქართველი მათემატიკოსებისა, ფიზიკოლოგებისა, გეოლოგებისა, ქიმიკოსებისა, გეოგრაფებისა და სხვ., რომელთა მეცნიერული პროდუქცია აღიარებულია მთელ მსოფლიოში. ამ სკოლების მესვეურების და წამყვანი ძალების პეტრე მელიქიშვილის, ა. რაზმაძის, ნიკოლოზ მუსხელიშვილის, ილია ვეკუას, აკ. ჯანელიძის, ივანე ბერიტაშვილის, ალ. ჯავახიშვილის და სხვათა სახელები ბრწყინავენ მსოფლიო მეცნიერთა თანავარსკვლავედში.

ამრიგად, თბილისის უნივერსიტეტს ქართველ საბჭოთა ბუნებისმეტყველ და ტექნიკურ მეცნიერებაში, რომელიც ჩვენი ეროვნული კულტურის უმნიშვნელოვანესი დარგია, ეროვნული ენა, ქართული ლიტერატურა, ქართული ლიტერატურის ისტორია, ფოლკლორი, ეთნოგრაფია, ენათმეცნიერება, ფილოლოგიური ფილოსოფია, ისტორიოგრაფია, ეკონომიკა, ეთნოგრაფია, ეთნოლოგია, ეთნოფსიქოლოგია, ეთნოფილოსოფია, ეთნოფილოლოგია, ეთნოფილოლოგიური ფილოსოფია, ეთნოფილოლოგიური ეთნოფილოსოფია, ეთნოფილოლოგიური ეთნოფილოსოფიური ეთნოფილოლოგიური ეთნოფილოსოფიური ეთნოფილოლოგიური ეთნოფილოსოფიური

„ზორიას“ ფურცლებზე

მაღაროელთა მეგობრობა

ტრადიციული მეგობრობა აკავშირებთ ქართველ და უკრაინელ მაღაროელებს, რაც ხალხთა ლენინური მეგობრობის ბრწყინვალე დემონსტრაციაა. ჭიათურელ და ნიკოპოელ მაღაროელთა შეჯიბრება-მეგობრობას სამამულო ომამდე ჩაეყარა საფუძველი და იგი სულ უფრო მტკიცდება. მაღაროელთა მიწურ-მოწურა, სტუმარ-მასპინძლობა ორი რესპუბლიკის ხალხთა ურყევი ძმობის განსახიერებაა. უკრაინელი მეგობრები ამას წინათ იყვნენ ჭიათურაში. მათს ფილეგაციას თან ახლდა დნეპროპეტროვსკის საოლქო გაზეთ „ზორიას“ კორესპონდენტი ი. კოვალი. ახლახან ჭიათურაში მოვიდა გაზეთ „ზორიას“ ერთ-ერთი ნომერი, რომლის მესამე გვერდი მთლიანად მიძღვნილია ქართველ და უკრაინელ მაღაროელთა ძმობა-მეგობრობისადმი. მისი საერთო სათაურია: „დრუჟბა-მეგობრობა!“ გვერდის მთელი მასალა გამსჭვალულია ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრების სულისკვეთებით. გვერდის ცენტრში მხვეული ასოებით დაბეჭდილია:

„სსრ კავშირის ხალხთა ურყევი ძმობის დამკვიდრება, ჩვენი სამშობლოს სოციალისტური რესპუბლიკების ეკონომიკისა და კულტურის აყვავება, მათი მტკიცე ერთიანობა დამაჯერებლად ადასტურებენ, რომ სწორი იყო ლენინის მოძღვრება და პარტიის პოლიტიკა ეროვნული საკითხის გადაწყვეტაში, რომ გაიმარჯვეს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეებმა“. ეს სიტყვები ამოღებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან „ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების შესახებ“.

ვრცელ წერილში — „ხალხთა ლენინური მეგობრობის იდეა ცოცხლობს და იმარჯვებს“ — ქვესათაურებით მოთხრობილია ქართული მარგანეცის ქალაქის წარსულსა და დღევანდელობაზე, ჭიათურელ და ნიკოპოელელ მაღაროელთა შეჯიბრება-მეგობრობის კეთილმყოფელ შედეგებზე.

გვერდი იხსნება შესავალი წერილით, სადაც ვკითხულობთ: „ქართველი და უკრაინელი მაღაროელების მეგობრობა დიდ სამამულო ომამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო. ჭიათურელ და ნიკოპოელ მაღაროელთა მეგობრობა 36 წელს ითვლის. ეს მეგობრობა ეხმარება მარგანეცის ორი დიდი საბადოს მშრომელებს ახალ წარმატებათა მოპოვებაში ჩვენი დიდი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

მოძმე მაღაროელთა მეგობრობა სიყვარულის დამადასტურებელია, განაგრძობს გაზეთი. ევროპაში ყველაზე დიდ შახტს ნიკოპოელელმა უწოდეს „ჭიათურა“, ხოლო ჭიათურელებმა ახალ, კეთილმოწყობილ დახახლებას ნიკოპოლის ქუჩა შეარქვეს.

ჩვენს მეგობრობაში ნათლად მოჩანს ხალხთა დიადი ლენინური მეგობრობის ძვირფასი ნაყოფი. ეს მეგობრობა ურღვეველია, მას ღრმა ფესვები აქვს, იგი ცოცხლობს და დღეგრძელობს ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს სადიდებელად, — დასასკვნის გაზეთი.

პატარა წერილებში გადმოცემულია უკრაინელი მეგობრების გულწრფელი აღტაცება ხალხთა ძმობის დიდი მომლერლების — აკაკი წერეთლისა და ლესია უკრაინკას მუზეუმების დათვალიერებით.

ჭიათურელ მაღაროელთა შრომასა და ცხოვრებაზე „ზორიას“ ბეჭდავს მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარის ბ. გამყრელიძის წერილს. ჯვერდი დასურათებულია მ. ზანუდკოს, ო. მოჟაილოვისა და ა. მაჭავარიანის ფოტოებით.

გაზეთმა „ზორიამ“ კარგი საქმე გააკეთა. ეს უფრო განამტკიცებს ხალხთა ლენინურ დიად მეგობრობას, რომელიც ჩვენი სამშობლოს უძლეველობის წყაროა.

პ. ჟიოკაძე,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

ოლიმპიადელები ემზადებიან



ოლიმპის მთაზე 23 აგვისტოს ანთებული ჩირაღდანი მექსიკის ქალაქ ვერაკრუსში მიიტანეს. კანონერ „ფურანგოდან“ ჩვიდმეტმა მცურავმა ესტაფეტით ჩირაღდანი ნაპირზე გადიტანა და XIX ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეს პედრო რამირეს ვასკესს ჩაბარა.

სურათზე: (ქვემოთ) ოლიმპიური ჩირაღდანი გამოაქვთ ნაპირზე.

საყოველთაო ყურადღების ცენტრში არიან საბჭოთა ტანმოვარჯიშეები, რომელთა ვარჯიშს ინტერესით ადევნებენ თვალს მექსიკელი სპორტის მოყვარულები.

ზემოთ სურათზე თქვენ ხედავთ საბჭოთა ტანმოვარჯიშე გოგონებს ვარჯიშის დროს ოლიმპიურ სოფელში.

ფოტო იუპი-ხაკდესისა და ხოსე დავილასი

გ. ტიტოვი ოლიმპიადის სტუმარია

მექიკო, 9 ოქტომბერი. (საკადსი). კოსმონავტი მეფრინავი **გერმანე ტიტოვი** მე-19 ოლიმპიური ასპარეზობის საპატიო სტუმარია. იგი გუშინ ჩამოვიდა მექსიკის დედაქალაქში სპორტული ასპარეზობის ორგანიზატორთა მოწვევით. აეროდრომზე საბჭოთა კოსმონავტს გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს.

ოლიმპიადის მეორე საპატიო სტუმარია საჰელგანთქმული საბჭოთა მორგბენალი, მელბურნის ოლიმპიადის ორგზის ჩემპიონი **ვლადიმერ კუცი**. იგი გუშინ ჩამოვიდა აქ.

□ □

საბჭოთა შეხვედრები — მსოფლიო ნაკრებში

სამი საბჭოთა ფეხბურთელი — ლევ იაშინი, ალბერტ შესტერნიოვი და **ლალა მეტრეველი** შეყვანილი არიან **მსოფლიო ნაკრების** შემადგენლობაში, რომელიც **6 ნოემბერს რიო-დე-ჟანეიროში შეხვდება ორგზის მსოფლიო ჩემპიონს — ბრაზილიის ნაკრებს ბუნდს სპორტსმენებს.**

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის სპეციალურმა კომისიამ, რომელსაც სხდომა ჰქონდა მექსიკის ქალაქ გვადალახარაში, დასახელა ტყვიის ბურთის თექვსმეტი უძლიერესი ოსტატი, რომლებიც ითამაშებენ ამ მატჩს შეეცილის მსოფლიო ჩემპიონატში ბრაზილიელთა გამარჯვების მეათე წლისთავის აღსანიშნავად.

აი ისინი: იაშინი, მაზურკევიჩი (ურუგვაი), **პერუფომო** (არგენტინა), **შესტერნიოვი, ფულცი** (გფრ), **მასი** (არგენტინა), **გუენტანო** (ჩილე), **სიუჩი** (უნგრეთი), **ბეკენბაუერი** (გფრ), **ოვერაბი** (გფრ), **ოზიმი** (იუგოსლავია), **მეტრეველი, ამანსიო** (სპანეთი), **ალბერტი** (უნგრეთი), **ფარკაში** (უნგრეთი) და **ზაიჩი** (იუგოსლავია).

სათადარიგო მოთამაშენი იქნებიან: **ვიქტორი** (ჩეხოსლოვაკია), **რონა** (ურუგვაი), **ვან ხიმსტი** (ბელგია) და **ბენე** (უნგრეთი). ნაკრების მწვრთნელის მოვალეობა დაეკისრა **ე. ერბამერს** (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), ხოლო მატჩის მსაჯობა — ინტერნაციონალურ ბრიგადას **დიეგო დელეოს** (მექსიკა), **იუგბანდ ძოლტის** (უნგრეთი) და **რამონ ბარეტოს** (ურუგვაი) შემადგენლობით. (საკდესი).

ჩვენი ოურიოული კონსულტაცია

შეგვეკითხეთ, გიპასუხეგთ

შეკითხვა: საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის მივიღეთ ფულადი პრემია. კანონიერია თუ არა პრემიის თანხიდან საშემოსავლო გადასახადის დაკავება?

ვ. თოდაძე, კ. მელაძე, ნ. რუხაძე, დ. აბრამიძე.
ქ. თბილისი.

პასუხი: „საშემოსავლო გადასახადის შესახებ“ სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წ. 30 აპრილის ბრძანებულების მე-6 მუხლის შესაბამისად მუშებისა და მოსამსახურეთა საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრ თვიურ ნაშოვარში შეიტანება მათ მიერ წინა თვეში მიღებული ნაშოვრების ყველა თანხა, მათ შორის პრემიებიც, რომლებიც გაიცემა სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით.

შეკითხვა: ემუშაობ კადრების უფროსი ინსპექტორის თანამდებობაზე. რამდენი სამუშაო დღის ხანგრძლივობით მეკუთვნის მორიგი შვებულება?

ე. ბროკაიშვილი.
ქ. ქუთაისი.

პასუხი: შრომის კანონთა კოდექსის 114 მუხლის შესაბამისად შვებულება თქვენ გეკუთვნით წელიწადში ერთხელ არანაკლებ 12 სამუშაო დღის ხანგრძლივობით იმ დასვენების და დღესასწაულ ი ს დღეების დამატებით, რაც შვებულების დროს დაემთხვევა. ამასთანავე, თუ თქვენი სამუშაო დღე არ არის ნორმირებული, შეიძლება მოგეცეთ დამატებითი შვებულება 12 სამუშაო დღემდე ხანგრძლივობით, როგორც კომპენსაცია არასამუშაო საათებში დატვირთვისათვის.

შეკითხვა: ვმუშაობ წნორის საკონსერვო ქარხანაში. მიხდება მუშაობა დასასვენებელ და დღესასწაულის დღეებში. ქარხნის ადმინისტრაცია არ მინაზღაურებს ამ დღეებში ნამუშევარს. როგორ მოვიქცე?

ვ. ხაბიბაშვილი,
სიღნაღის რაიონი.

პასუხი: დასასვენებელ და დღესასწაულის დღეებში მუშაობის ანაზღაურების საკითხზე თქვენ უნდა მიმართოთ შრომის დაცვის განმხილველ კომისიას, რომლის გადაწყვეტილება შეგიძლიათ გასაჩივროთ პროფკავშირის საქარხნო კომიტეტში, ხოლო თუ პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის დადგენილებასაც არ დაეთანხმებით, იმ შემთხვევაში შრომითი დავის განსახილველად შეგიძლიათ მიმართოთ საბალხო სასამართლოს.

შეკითხვა: ვმუშაობ კოლმეურნეობაში ბრიგადირად. ვსწავლობ დაუსწრებლად სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. მეკუთვნის თუ არა სასწავლო შვებულება, თუ კი — როგორი ხანგრძლივობით?

ო. ლოსაბერიძე,
ტყიბულის რაიონი.

პასუხი: სასწავლო შვებულების მისაღებად თქვენ უნდა მიმართოთ კოლმეურნეობის გამგეობას. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 2 ივლისის № 720 დადგენილებით კოლმეურნეობებს რჩევა მიეცათ, რომ კოლმეურნეობის წევრებს, რომლებიც დაუსწრებელ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ, მისცენ სასწავლო შვებულებები და დააწესონ მისი ანაზღაურების ოდენობა იმის შესაბამისად, რაც სტუდენტი მუშებისა და მოსამსახურეებისათვის არის დაწესებული (I და II კურსებზე 30 კალენდარული დღის ხანგრძლივობით, III და შემდგომ კურსებზე 40 კალენდარული დღის ხანგრძლივობით).

შეკითხვა: ვარ 55 წლის. ვმუშაობ ხორცკომბინატში მუშად. ოჯახში არავინ მყავს. მაქვს თუ არა უფლება შვილად ავიყვანო ჩემი ძმის შვილი 14 წლის, რომელიც ცხოვრობს და სწავლობს ქ. ზესტაფონში თავის მშობლებთან?

დ. ჩხეიძე,
ქ. თბილისი.

პასუხი: თქვენ შეგიძლიათ შვილად აიყვანოთ თქვენი ძმის შვილი, თუ ამაზე არსებობს, როგორც თვით შვილად ასაყვანის, ისე მისი მშობლების თანხმობა (თუ მათ ჩამორთმეული არა აქვთ მშობლის უფლება). შვილად აყვანა მოხდება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დადგენილებით და უნდა გატარდეს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოს რეგისტრაციაში.

შეკითხვა: ვცხოვრებ სოფელ სვირში სიმამრის ოჯახში, რომელიც შედგება შვიდი სულისაგან. სიმამრი და სიდედრი მოხუცები არიან. ჩემი მეუღლე სოფლის საშუალო სკოლის მასწავლებელია. მეც მასწავლებელი ვარ, ვმუშაობ ზესტაფონის რკინიგზის საშუალო სკოლაში. მყავს სამი შვილი, უფროსი 16 წლისაა. გვეკუთვნის თუ არა შეღავათი სასოფლო-სამეურნეო გადასახადში?

ბ. ჯაოშვილი,
ზესტაფონის რაიონი.

პასუხი: თუ თქვენი სიმამრი სასოფლო საბჭოს საკომლო წიგნის მიხედვით ითვლება მეურნეობის მეთაურად და უკვე შეუსრულდა 60 წელი, მიუხედავად იმისა, კოლმეურნეა თუ ერთპიროვნული მეურნე, იგი ექვემდებარება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდისაგან განთავისუფლებას, თუ ოჯახის სხვა შრომისუნარიანი წევრები პირადი შრომით არ იღებენ მონაწილეობას მეურნეობაში. ოჯახის შრომისუნარიანი წევრები მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებიან ანგარიშში, თუ ისინი პირადი შრომით მონაწილეობენ მეურნეობაში. რაც შეეხება მოსწავლეებს (თუ ისინი სწავლობენ ისეთ სასწავლებლებში, სადაც სწავლების ვადა სულ ცოტა 1 წელია), მათი შრომისუნარიანთა რიცხვში შეტანა არ ხდება.

აკადემიკოს გ. მუხაძის ხსოვნისათვის

საქართველოს სამედიცინო საზოგადოებრიობამ აღნიშნა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის გრიგოლ მიხეილის-ძე მუხაძის გარდაცვალების 20 წლისთავი.

ქართული მეცნიერულ-კლინიკური ქირურგიის მამამთავარმა გ. მუხაძემ დიდი წვლილი შეიტანა საბჭოთა მედიცინის განვითარებაში.

1932 წელს პროფესორმა გ. მუხაძემ შექმნა სისხლის გადასხმის რესპუბლიკური სადგური, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ გადაიქცა ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტად. ეს ინსტიტუტი დღეს თავისი დამაარსებლის სახელს ატარებს.

აკადემიკოსი გ. მუხაძე არის ავტორი სისხლის გადასხმის პრობლემებისადმი მიძღვნილი ბევრი მონოგრაფიისა და მეცნიერული ნაშრომისა. მისი ხელმძღვანელობით ათობით სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციაა დაცული.

გ. მუხაძის ხსოვნას მიეძღვნა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს გ. მუხაძის სახელობის ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო სესია.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა ინსტიტუტის დირექტორმა შ. ეგნატაშვილმა.

მოხსენება „გ. მ. მუხაძის ცხოვრება და მოღვაწეობა“ გააკეთა ინსტიტუტის განყოფილების გამგემ, პროფესორმა შ. თოფურიამ.

ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის აქტუალურ საკითხებს მიუძღვნეს მოხსენებანი ლენინური პრემიის ლაურეატმა, ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის პირველი ქირურგიის კათედრის გამგემ, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ნ. ანთელავამ, ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, პროფესორმა ვ. კიკნაძემ და სხვებმა.

(საკდესი).

ნაპირ-ნაპირ

კულტურის მუშაკთა სტუმრობა

დუშეთი. (საკ. კორ.). გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით ამას წინათ დუშეთში ჩამოვიდა თეთრი წყაროს რაიონის კულტურის მუშაკთა ჯგუფი. სტუმრები გაეცნენ ანანურის ხასოფლო ბიბლიოთეკისა და კლუბის, აგრეთვე სახვაშვო და სარაიონო ბიბლიოთეკების, ფასანაურის სასოფლო კლუბის მუშაობას, დაათვალიერეს ილია ჭავჭავაძის მუზეუმი, რომელიც ამას წინათ მოეწყო საზოგადოებრივ საწყისებზე სახალხო სასამართლოს შენობაში. სტუმრებმა ნახეს აგრეთვე ბაზალეთის ტბა, ანანურის ციხე-სიმაგრე და ჯოჯა-ფშაველას სახლ-მუზეუმი ჩარგალში.

ბთაში, მწყემსებთან

თელავი. (საკ. კორ.). მთა ციგის ნოყიერი იალაღები თელავის რაიონის კოლმეურნეობების მსხვილფეხა პირუტყვის საზაფხულო „აგარაკია“. გამრჯე მწყემსებთან ზმირად მოდიან ხელოვნების მუშაკები, საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორები. ამ დღეებში რუისპირის საკოლმეურნეო ფერმების საგრომს ეწვივნენ სასოფლო კულტურის სახლის მომღერლები და მოცეკვავეები. საინტერესო ლექციი წაიკითხა ბრიგადის ხელმძღვანელმა კულტურის სახლის დირექტორმა შ. ხანჯალაშვილმა.

„საქართველოს აგიტატორი“ № 19

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების ჟურნალ **„საქართველოს აგიტატორი“** მორიგი, მეცხრამეტე ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია: საქართველოს პირველი უმაღლესი სასწავლებელი; **მ. ხვიჩია** — პოლიტიკურ მუშაობას — ფართო გაქანება; ინიციატორებს — მხარდაჭერა!; **ა. ჯარჩავა** — აგიტატორები — მასების შუაგულში; ყვავის ინდუსტრია — აღმავლობის გზაზე; **კ. ფალავა** — ვაგიფი; და სხვა მასალები.

ფოთი. (საკ. კორ.). საბჭოთა სახელმწიფოს საიუბილეო დღეებში ფოთის ნავსადგურში მუზეუმი შეიქმნა.

მუზეუმი ნავსადგურში

იგი მოთავსებულია ნათელ და დიდ დარბაზში.

მუზეუმის ექსპოზიცია ხუთ განყოფილებას შეიცავს. პირველ განყოფილებაში ნაჩვენებია ისტორიული წყაროები, რომლებიც შუქს ფენენ ნავსადგურის პირველ მშენებლობას, შემდეგ ნაჩვენებია ნიკო ნიკოლაძის ღვაწლი ნავსადგურის მშენებლობისა და რეკონსტრუქციის საქმეში.

რევოლუციური მოძრაობა ნავსადგურში, იმპერიალისტური და სამოქალაქო ომით დანგრეული ნავსადგურის აღდგენა, ხუთწლედების მშენებლობანი — ეს განყოფილებები მნახველთა დიდ ინტერესს იწვევს. მეოთხე განყოფილების მასალები შეეხება დიდი სამამულო ომის პერიოდს. ხოლო მეხუთე განყოფილება ასახავს ომისშემდგომი პერიოდის ნავსადგურის მოწინავე ადამიანების ცხოვრებას და მათს მიღწევებს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

ექსპოზიციაში ყურადღებას იქცევს მრავალი უნიკალური ფოტომასალა. მათ შორის პირველი პორტალური ამწე (1932 წ.); ელიავას სახელობის ქარხნის საზეიმო გახსნა (1923 წ.). ნავსადგურელთა ძალებით აგებული პირველი მიწისმწოვი „საბჭოთა საქართველო“ და „ნორია“ (1923 წ.), ამხანაგი მ. ი. კალინინი ფოთის ნავსადგურში (1924 წ.) და სხვა მასალები.

გამოფენაზე ექსპონირებულია ორი ათასზე მეტი ნივთი, ხოლო მისი ფონდი ორჯერ მეტ მასალას შეიცავს.

ქ. ი. უზნაძე-მჭედლიშვილი — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის ზოგადი ქირურგიის კლინიკის ასისტენტმა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა **ქეთევან ილარიონის ასულმა უზნაძე-მჭედლიშვილმა** თბილისის სახელწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ადიურების არტერიათა ქრონიკული მაობლიტერებელი დაავადების კლინიკა. და კომპლექსურ-კონსერვატული მკურნალობის საკითხისათვის“ (კლინიკურ-მორფოლოგიური გამოკვლევა).

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა **ქ. ი. უზნაძე-მჭედლიშვილისათვის** მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

ბურთი

მეხუთე ტური

აუხაბადში გუშინ გათამაშდა ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატის მე-5 ტური. **ხანაძე** დამარცხდა **სკეგინასთან. ალექსანდრიამ** თანაბარ მდგომარეობაში გადადო პარტია **გურფინკელთან**, ასევე გადადო **ჩაიკოვსკაიას** შეხვედრაც.

ღღეს ალმა-ატაში

ღღეს ჩვენი ქვეყნის ხუთ ქალაქში გაიმართება უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა პირველობის მატჩები. **ქუთაისის** „ტორპედოს“ **ალმა-ატაში** პრინციპული ასპარეზობა ექნება „კაირატთან“. ამ მატჩის ტრანსლაციას საქართველოს რადიო აწყობს 18 საათსა და 20 წუთიდან ადგილობრივი დროით.

მატჩი გათუმში

ბათუმში გაიმართა „ა“ კლასის ფეხბურთელთა მეორე ჯგუფის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი. ადგილობრივმა „დინამომ“ მიიღო ტყიბულის „მეშახტე“. შეხვედრა დამთავრდა მაჭანჭინძელთა გამარჯვებით ანგარიშით — 1:0.

ოფიციალური ცხრილი

მომგებიანი ანაბრების მოგებათა 52-ე ტირაჟისა, რომელიც გაიმართა 1968 წლის 3 ოქტომბერს ქ. წყალტუბოში. მოგება ხვდა საქართველოს სსრ შემნახველ სალაროებში მოთავსებული მომგებიანი ანაბრების ანგარიშების შემდეგ ნომრებს:

ანგარიშების №№	მოგებათა ოდენობა პროცენტებით ანაბრის საშუალო თანხასთან	ანგარიშების №№	მოგებათა ოდენობა პროცენტებით ანაბრის საშუალო თანხასთან	ანგარიშების №№	მოგებათა ოდენობა პროცენტებით ანაბრის საშუალო თანხასთან
ა 6	25%	ა 354	50%	ა 718	25%
ა 71	50%	ა 388	25%	ა 751	200%
ა 99	25%	ა 427	25%	ა 775	25%
ა 131	25%	ა 446	25%	ა 832	25%
ა 164	25%	ა 488	100%	ა 861	25%
ა 221	25%	ა 539	25%	ა 895	25%
ა 250	25%	ა 561	25%	ა 958	100%
ა 288	25%	ა 619	25%	ა 970	25%
		ა 649	25%		

შემნახველ სალაროებში, სადაც ანგარიშების რიცხვი ათასზე მეტია, მოგება ყველა მომდევნო ათასეულში ხვდა იმავე ანგარიშებს, რომლებიც პირველ ათასეულშია, ე. ი. №№ ა 6, ა 1006, ა 2006, ა 71, ა 1071, ა 2071 და ა. შ.

ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე —
წყალტუბოს რაიონის მშრომელთა დეპუტატების რაიასაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ბ. ქუთათელაძე**

სატირაჟო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე —
საქართველოს სსრ სახშრომშემსალაროების და სახკრედიტის სამმართველოს უფროსის მოადგილე **ა. ლომთაძე**

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი —
საქართველოს სსრ სახშრომშემსალაროების და სახკრედიტის სამმართველოს უფროსი ინსპექტორი **შ. თაბასიძე**

მაკარცველის მოკლე გზა

ღამით რკინიგზის ქობულეთის სადგურზე ბათუმ-თბილისის მატარებლის საერთო ვაგონში ჩასხდომის დროს უცნობმა პირებმა ახმეტელ ბიბლო მუზიკაშვილს ხელიდან გამოსტაცეს ჩემოდანი, რომელიც იდო 507 მანეთი ფული, ტანსაცმელი და სხვა ნივთები. ბ. მუზიკაშვილმა თხოვა მილიციას დახმარებოდა დამნაშავის აღმოჩენაში. საქმის ძიება დაეკისრა ბათუმის რკინიგზის მილიციის ქვეგანყოფილების მუშაკს კაპიტან ვაჟა სარიშვილს, რომელიც ბ. მუზიკაშვილის სანახავად ახმეტაში გაემგზავრა.

ბ. მუზიკაშვილმა გაიხსენა, რომ სადგურის მოსაცდელ დარბაზში ვიღაც კაპელი მამაკაცი შეუღლოდ იყო, მას მანდარინიც მიაწოდეს, იმ უცნობ პირთან სხვა მამაკაცებიც იყვნენ, მაგრამ ყურადღება დიდად არც მიუქცევია. შემდეგ მატარებელი ჩამოდგა. საერთო ვაგონი შემადგენლობის ბოლოში იყო. ასასვლელთან ისე ბნელოდა, კაცს ვერ გარჩევდი. და აი, ძარცვის შემდეგ კაპელი უცნობი მამაკაცი, რომელიც სადგურში შეუძლოდ გრძნობდა თავს, მათ ვაგონში აღმოჩნდა. მატარებელი უკვე დაძრული იყო, ვაგონში საიდანღაც მილიციის სერჟანტი გაჩნდა. სერჟანტმა მუზიკაშვილს უჩრია ქობულეთში დაბრუნებულიყო და დახმარება სათანადო ორგანოებისათვის ეთხოვა, მაგრამ დაზარალებულს არ შეეძლო დარჩენა. მაშინ სერჟანტმა საბუთები გაუსინჯა კაპელ კაცს, რომელიც გვარად ენუქიძე აღმოჩნდა, მაგრამ მას საეჭვო ვერაფერი შენიშნეს. აი ყველაფერი ის, რაც კაპიტან სარიშვილს უამბო მუზიკაშვილმა.

კაპიტანმა გადაწყვიტა ენახა კაპელი ენუქიძე, თუმცა მისი არც სახელი იცოდა და არც ის, თუ რომელი სოფლიდან იყო. მიაგნეს ენუქიძეს, იგი აღმოჩნდა პარტიის წევრი, გამრჯე კოლმეურნე. მან კაპიტანს უთხრა:

— რამდენიმე დღე მეც დავყავი ქობულეთის ბაზარში. სახლში მოწვეულ ბოსტნეულს ვყიდდი. იქ გავეცანი გორის რაიონიდან ჩამოსულებს, მე მათი გვარები არ ვიცი, ორნი იყვნენ, ერთმანეთს ეძახდნენ სოგრიასა და ქიტას, იმ ღამით სადგურზე, მგონი, ისინი იყვნენ.

კაპიტანმა უბის წიგნაკში ჩაინიშნა მათი სახელები.

მილიციის განყოფილების უფროსმა აპარატის მუშაკს მაიორ გრიგოლ მიქაძეს დაავალა დახმარებოდა კაპიტან სარიშვილს.

მართლაც, გორის რაიონის სოფელ ახალდაბაში აღმოჩენილ იქნა ვინმე ქიტა ვასილის-ძე როსტომაშვილი. ძიების დროს დადგინდა, რომ ქიტა როსტომაშვილს არც წარსული ჰქონდა სუფთა. 1957 წელს მისჯილი ჰქონდა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

დაპირისპირების დროს დაზარალებულმა მუზიკაშვილმა უმაღლეს გამოიცნო ბორტკმოქმედნი.

— რას ამბობთ, ჩვენ პატიოსანი ხალხი ვართ, ჩვენს ნაოფლარს ვყიდდით ბაზარზე, განა ეს დანაშაულია? — აღშფოთდნენ როსტომაშვილი და სეხნიაშვილი.

აქ დაზარალებულმა თავი ვერ შეიკავა და თბილისის ისტერიულად წამოიყვირა, „ვიცანი, ვიცანი“.

— გავიგეთ, რომ იცანით, ახლა რაღა გაღელვებთ ქალბატონო. — გაუკვირდა მაიორ მიქაძეს.

— არა, მთავარი ის არის, რომ ცმა ვიცანი. ნამდვილად ეს იყო, — მიუთითა როსტომაშვილზე — ვაგონის ასასვლელთან ბევრი ხალხი იყო, თანაც სიბნელე, საცაა მატარებელიც დაიძრებოდა. სწორედ ამ ხმამ მითხრა, ჩემოდანი მომეცი, შენ ადი და მოგაწოდებო. მე ჩემოდანს ხელი არ გავუშვი. როცა საფეხურზე შევდექი, მაშინ მატარებელიც დაიძრა, და ეი მაშინ ამ არამზადამ ხელიდან გამომგლიჯა ჩემოდანი.

გაჩხრიკეს სეხნიაშვილისა და როსტომაშვილის ოჯახები. სეხნიაშვილის სახლის სხვენში აღმოჩნდა მუზიკაშვილის ჩემოდანი. მუზიკაშვილის მიერ ძმისთვის ნაყიდი შარვალი სეხნიაშვილის შვილს ეცვა, ხოლო ფანელის სახალათეები, რომელიც დაზარალებულმა ქობულეთში იყიდა, როსტომაშვილისა და სეხნიაშვილის მეუღლეებს შეეკერათ.

ამას წინათ ქობულეთის რაიონის სახალხო სასამართლომ გაარჩია მძარცველთა საქმე. სასამართლომ ქიტა ვასილის-ძე როსტომაშვილს მიუსაჯა ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო სოგრატ სანდროს-ძე სეხნიაშვილს ოთხი წლით.

ჯ. ჩხარტიშვილი.

ბათუმის სახალხო მილიციის ქვეგანყოფილების უფროსი, პოდპოლკოვნიკი.

დისერტაციების დაცვა

თბილისის კუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

(ი. ჭავჭავაძის პროსპ. № 32)

1968 წლის 25 ოქტომბერს დღის 12 საათზე სხდომათა დარბაზში ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ევგენი ფილიპეს-ძე ბარათაია** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„დიდი სამამულო ომის თემა ქართულ პოეზიაში“.**

1968 წლის 25 ოქტომბერს დღის 2 საათზე სხდომათა დარბაზში პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ვიქტორ ვაბრამის-ძე ჩიბანი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„რუსული საბჭოთა ლიტერატურის სწავლება ნომბერი სკოლების უფროს კლასებში“.**

დისერტაციების გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

რადიო

11 ოქტომბერი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.30 — ინსის ჰანგები, 08.30 — ვ. მურადელის, რ. ფილიმონისა და ა. პაპმუტოვას სიმღერები, 09.25 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.35 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე, 09.45 — „საბჭოთა ბელორუსია 50 წლისაა“. მიკროფონთან — ფერალი ბ. ბროდეა (მოსკოვი), 12.30 — რადიონარკვევი „ლიანდაგზე მწვანე შუქი კიაფობს“, 12.45 — უკრავს ჯაზ-ანსამბლი „ბალალაიკა“, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.40 — ა. გლაზუნოვი. სიმფონიური პოემა „სტენკა რაზინი“, 14.00 — ბელორუს კომპოზიტორთა პარტიტურის ფურცლებზე (მოსკოვი), 15.30 — „მეგობრების ხმები“ — გადაცემა სოციალისტური ქვეყნებიდან (მოსკოვი), 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი, 17.35 — მოსწავლეთათვის. კ. ფეიდინი. „ლენინის სურათი“. მოთხრობა, 18.00 — უკანასკნელი ცნობები, 18.10 — ი. ალბენისი. კამერულ-ინსტრუმენტული პიესები, 18.30 — რესპუბლიკური ცნობები რუსულ ენაზე, 18.45 — ბ. პარადიზი. კონცერტი ფორტეპიანოსა და სიმებიანი საკრავებისათვის, 19.00 — საუბარი „ვ. ი. ლენინის სტატია „მარქსიზმი და რევიზიონიზმი“, 19.15 — უკრავს საზონოვი, 19.30 — უკანასკნელი ცნობები, 19.45 — რ. ლადიძე. ნაწყვეტები ოპერეტიდან „კომბლეკ“, 20.20 — საერთაშორისო კომენტარი (მოსკოვი), 20.30 — რადიოჟურნალი „ჯანმრთელობა“, 21.00 — „ძილისპირული“, 21.15 — კონც